ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 14 დეკემბერი, 2022 №246 (9024) ფასი: 80 თეთრი

გვ.2

უკრაინაში კიდევ ორი ქართველი მებრძოლი დაიღუპა

დავით სერგეენკო: „მე ვხედავ, რომ პაციენტ სააკაშვილის შემთხვევის მართვა მიმდინარეობს ცალსახად არასწორად“

გვ.5

„პირველი შემთხვევა არაა, როდესაც სააკაშვილს უღალატეს, არასწორად ჰყავდა გარემოცვა შერჩეული“

გვ.2

ნიკა ჩიტაძე: „სააკაშვილი ამ ეტაპზე შესაძლოა დარჩეს პატიმრობაში და ხელისუფლება შეეცადოს, პოლიტიკური ვაჭრობის თემად გადააქციოს მისი საკითხი“

გვ.4

რატი ბრეგაძე: „თუ არ შეწყდება სიმულაციური ქმედებები, იძულებულები გავხდებით, გავასაჯაროოთ გარკვეული კადრები“

მიხეილ ყაველაშვილი: „რადიკალური ოპოზიცია პოლიტიკურ ნაგვად გადაიქცა“

გვ.2

„ქართულ ოცნებას“ ერთი ასანთის ქარხანა ვერ აუშენებია, რომელ ანაკლიის პროექტს ააშენებენ?!“

გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „რატომ არის შეჩერებული ბაქო-ყარსი-ახალქალაქის პროექტი?! იმიტომ ხომ არა, რომ ამ პროექტით დასავლეთს ვუახლოვდებით და არა რუსეთს?!“

ნიკა შენგელია: „სამწუხაროდ, ჩვენი ეკონომიკა რუსეთ-უკრაინის ომის ხარჯზე იზრდება“

გვ.3

„რუსეთის 17 ათასი კომპანია მოქმედებს დღეს საქართველოში“

სჭირდება თუ არა უკრაინას იერიში კრემლზე?

გვ.4

უკრაინელი ანალიტიკოსი: „რუსეთს ჩაუფლავდა დასავლეთის გაზითა და ნავთობით შანტაჟის მცდელობა“

გვ.4

ანა წითლაძე: „ვიქტორ ჯაფარიძე ცხრა წელი სააკაშვილის და როლანდ ახალაიას მონა იყო“

5 „ნუ აფარებენ ხელს პროკურორები დამნაშავეებს!“ — კოვიდით გარდაცვლილი 20 წლის ფეხბურთელის ოჯახი

5 ოზურგეთში 2 წლის ბავშვი მეორე სართულიდან გადმოვარდა და დაიღუპა

6 ბახმუტი — ახალი სტალინგრადი?!

6 წყვილმა ტრამვაიში მგზავრების თვალწინ სექსი გააჩაღა

1993230720223

„პირველი შემთხვევა არაა, როდესაც სააკაშვილს უღალატეს, არასწორად ჰყავდა გარემოცვა შერჩეული“

ნიკა ჩიტაძე: „სააკაშვილი ამ ეტაპზე შესაძლოა დარჩეს პატიმრობაში და ხელისუფლება შეეცადოს, პოლიტიკური ვაჭრობის თემად გადააქციოს მისი საკითხი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ნიკა ჩიტაძე პასუხობს.

„უახლოესმა გარემოცვამ უღალატა მესამე პრეზიდენტს, ვისაც დაუჯერა. არ გამოვრიცხავ, სულაც შეგზავნილი იყო ვინმე, ვინც დაარწმუნა, რომ ის ჩამოსულიყო“

– ბატონო ნიკა, დღეს მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი გაიმართება. ვისმენთ შეფასებებს, რომ ის ძალიან მძიმედ არის. ითქვა ისიც, რომ სასამართლო უზრუნველყოფს მის ონლაინ ჩართვას პროცესზე. რა მოლოდინი გაქვთ, როგორია თქვენი შეფასებები?

– რა თქმა უნდა, მე სასამართლოს ნაცვლად ვერ ვისაუბრებ, მაგრამ ამ შემთხვევაში შესაძლებელია, ვარაუდის დონეზე ვისაუბროთ. პირველი ვარიანტია, რომ მოვლენები განვითარდეს პესიმისტური სცენარის მიხედვით. იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლო დღეს არ არის საქართველოში დამოუკიდებელი და ხელისუფლება მასზე ახორციელებს კონტროლს. შესაძლოა, სააკაშვილი ამ ეტაპზე დარჩეს პატიმრობაში, არ მოხდეს მისი გადაყვანა და ხელისუფლება შეეცადოს, პოლიტიკური ვაჭრობის თემად გადააქციოს სააკაშვილის საკითხი. ის დაიწყებს ვაჭრობას დასავლეთთან, რომ უზრუნველყოფენ სააკაშვილის გადაყვანას, თუკი დასავლეთი ნაკლებად კრიტიკული იქნება მათ მიერ გატარებული პოლიტიკის მიმართ. პლუს ამას, ხელისუფლება მოერიდება იმასაც, რომ გააღიზიანოს რუსეთი. ასევე შეეცდება, რომ გამოჩნდეს პრინციპული, პირველ რიგში, საკუთარი ამომრჩევლის წინაშე.

– გულისხმობთ იმ ამომრჩეველს, ვისი სურვილიცაა, რომ სააკაშვილი კანონის ფარგლებში დაისაჯოს?

– დიახ, სწორედ ამას ვგულისხმობ.

– თუკი ექიმებს დავუჯერებთ, სააკაშვილი ძალიან მძიმედ არის და მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება? ასევე არ დაგვავიწყდეს დასავლეთის გააქტიურებაც ბოლო რამდენიმე დღეა.

– აქედან გამომდინარე არსებობს მეორე, უფრო ოპტიმისტური ვარიანტიც. დიახ, ვხედავთ, რომ იზრდება ზეწოლა ხელისუფლებაზე, სხვადასხვა მიმართულებით. დასავლეთი გააქტიურდა.

– ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტშიც გაკეთდა განცხადება. ასევე, სააკაშვილის ოჯახი ჩავიდა და მიმართვა ჰქონდათ ევროპარლამენტიდან.

– დიახ, დეპარტამენტის განცხადებაც მნიშვნელოვანია და ოჯახის ვიზიტიც. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, შესაძლოა, ხელისუფლებამ, რომელიც დღეს ცდილობს, არ გაანაწყენოს რუსეთი, ამის მიუხედავად, დასავლეთის პოზიციის გათვალისწინებაც მოუწევს, რადგან შეეცდება დასავლეთისგან ნაკლები კრიტიკა დაიმსახუროს. ამიტომ შესაძლებელია ოპტიმისტური სცენარით განვითარდეს მოვლენები. თუმცა ძნელია მე სასამართლოს ნაცვლად ვისაუბრო. უნდა გავითვალისწინოთ, რომ დღეს საქართველოში სასამართლო არ არის თავისუფალი.

– მთლიანად პოლიტიზირებულიაო და ამიტომ დადებითი მოლოდინი არ აქვს საზოგადოების დიდ ნაწილს.

– დიახ, ასეა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ პროცესები დამოკიდებულია არა სასამართლოს ნებაზე, არამედ მთლიანად ივანიშვილის და მმართველი პარტიის ნებაზე.

– როდესაც დასავლეთიდან ასეთი კრიტიკული განცხადებები წამოვიდა, რამდენად არის მოლოდინი, რომ შეცვალონ პოზიცია?

– კი, შესაძლებელია. ჩვენ ვიცით, რომ ხელისუფლება თავის დროზე ყველანაირად ცდილობდა, რომ არც გიორგი რურუა არ გაეთავისუფლებინათ და არც გიგი უგულავა. მართალია, მაშინ პრეზიდენტმა შეიწყალა, ერთადერთი სამართლებრივი ბერკეტი ეს იყო, შეწყალება.

– ახლა თუ გაქვთ მოლოდინი, რომ სალომე ზურაბიშვილმა შეიწყალოს მიხეილ სააკაშვილი?

– ეს შესაძლებელია. თუმცა ეს გადაწყვეტილება თავად ზურაბიშვილმა უნდა მიიღოს. ხელისუფლებასა და პრეზიდენტს შორის დღეს დაძაბული ურთიერთობებია. ხელისუფლების მხრიდან ბევრჯერ იგრძნო თავი შეურაცხყოფილად ზურაბიშვილმა, ამიტომ არ ვიცი, რას მოიმოქმედებს. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სალომე დასავლეთის თვალში ცდილობს წარმოჩენილი იყოს, როგორც პროდასავლელი ლიდერი.

– ნაციონალურ მოძრაობაზე რას იტყვით? რამდენად სათანადოდ აქტიურობს სააკაშვილის პარტია? ან საპროტესტო მუხტი რა გავლენას მოახდენს პროცესებზე?

– კი ბატონო, აქციები შესაძლებელია იყოს, თუმცა მნიშვნელოვანია რამდენად ხალხმრავალი იქნება ეს აქციები. ნაცმოძრაობამ ძალიან ბევრი პრობლემა ვერ გადაჭრა ქვეყანაში. მათ უნდა მოეხერხებინათ და აეხსნათ საზოგადოებისათვის, რომ სააკაშვილი არ იყო დიქტატორი. უნდა გამოსულიყვნენ და დეტალურად ესაუბრათ, რა გაკეთდა იმ 9 წლის განმავლობაში, რა რეფორმები განხორციელდა. ხმამაღლა უნდა ეთქვათ ისიც, რომ ბევრი რამ, რასაც უგონებენ სააკაშვილს, არის დიდი ტყუილი! სამწუხაროდ, ნაცმოძრაობამ სათანადო პოლიტიკა ვერ გაატარა. ასევე გასარკვევია ისიც, თუ ვინ იყო ინიციატორი, რომ მიხეილ სააკაშვილი საქართველოში ჩამოსულიყო. აქ ჩამოვიდა და საზღვარზე რომ არავინ დახვდა...

– სწორედ ამ საკითხზე მინდოდა მეკითხა, დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ მიშას უღალატეს, მოატყუეს, გაწირეს. სახლი უნდა დახვედროდა და მძღოლის ამარა მიატოვეს. რამდენად აეხდება ფართა ამ ყველაფერს? ვინ გაწირა სააკაშვილი, მისმა უახლოესმა გარემოცვამ?

– დიახ, უახლოესმა გარემოცვამ, ვისაც დაუჯერა. შესაძლოა, სულაც შეგზავნილი იყო ვინმე, ვინც დაარწმუნა სააკაშვილი, რომ ის ჩამოსულიყო. ფაქტია, რომ დაარწმუნეს. იმედია, თავად მიხეილ სააკაშვილი ერთ დღესაც ილაპარაკებს ამ ყველაფერზე. ღმერთმა კარგად ამყოფოს და უნდა ილაპარაკოს აუცილებლად.

„ოცნება“ რომ მოშორდება ხელისუფლებიდან, რა თქმა უნდა, მშვიდობიანად და არჩევნების გზით, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ოპოზიციიდან ვინ იმსახურებს იყოს ხელისუფლებაში. ვინ იმსახურებს პატივისცემას და ვინ არ იმსახურებს. პირველი შემთხვევა არაა, როდესაც სააკაშვილს უღალატეს.

– რას გულისხმობთ? კიდევ როდის უღალატეს?

– ხელისუფლებაში ყოფნის დროს, იყვნენ გარკვეული მაღალჩინოსნები, რომლებმაც, ასე ვთქვათ, არ გადადგეს შესაბამისი ნაბიჯები და შემდეგ პრეზიდენტი სააკაშვილი ჩააყენეს უხერხულ მდგომარეობაში. ისინი უშვებდნენ შეცდომებს, აფუჭებდნენ და ეს ყველაფერი ბრალდებოდა პრეზიდენტ სააკაშვილს. ობიექტური რომ ვიყო, თავად მიხეილ სააკაშვილმაც დაუშვა შეცდომები და თვითონ უღალატა თავის თავს. არასწორად ჰყავდა არჩეული გარემოცვა, ხელისუფლების მაღალი რანგის პირები და უნდა სცოდნოდა, რომ ეს ყველაფერი მასვე მიუბრუნდებოდა.

მიხეილ ყაველაშვილი: „რადიკალური ოპოზიცია პოლიტიკურ ნაგვად გადაიქცა“

– რადიკალური ოპოზიცია გადაიქცა პოლიტიკურ ნაგვად და ჩვენი პარტნიორები ცდილობენ, როგორმე გადამუშავებას დაუქვემდებარონ, – ამის შესახებ უმრავლესობის დეპუტატმა, „ხალხის ძალის“ წევრმა მიხეილ ყაველაშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა.

მისივე თქმით, მიხეილ სააკაშვილის თემით მანიპულირება საქართველოში ვეღარ შეძლეს და ეს პროცესი გადავიდა საერთაშორისო არენაზე.

ყაველაშვილის შეფასებით, ევროპარლამენტარების მოწოდება სააკაშვილზე შეურაცხმყოფელია.

„გლობალ პოინტი“ დაიქირავეს და ამაზეც წინასწარ ვისაუბრეთ, ეს არის პირდაპირ სპეცოპერაცია ამ ადამიანთან დაკავშირებით, გაჟღერდა, რომ კუჭის ოპერაცია აქვს გაკეთებული ადამიანს, რომელსაც საკვების მიღება უჭირს. ყველასთვის თვალნათელია, ხვალ ასეთი დადგმა იქნება, რომ ვითომ გული წაუვიდა, რომ მძაფრი სიუჟეტი იყოს გამოვლენილი, პირდაპირ შეიძლება (გავიგოთ) ხაჭაპურიძის ნათქვამიდან, რომ 20 წუთში სამჯერ წაუვიდა გული და ხვალ მაინც შეეცდება, რომ ჩაერთოს. ვერაფერი ვეღარ უშველის ამ ძალას, უკვე რადიკალურ ოპოზიციასაც ვეღარ დავარქმევ, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ეს არის პოლიტიკური ნაგავი, ქართულ რეალობაში არსებული რადიკალური ოპოზიცია გადაიქცა პოლიტიკურ ნაგვად, ცდილობენ ჩვენი პარტნიორები, როგორმე გადამუშავებას დაექვემდებაროს, მაგრამ იმდენად მძიმე ნივთიერებებით არის შეპყრობილი ეს ოპოზიცია, რომ შეუძლებელია მათი გადამუშავება და ასეთ რეალობაში ვართ.

ანა ფოტიგა და ეს ადამიანები იმ 9 წლის მანძილზეც იძახდნენ, რომ დემოკრატიის შუქურაა სააკაშვილი, ნორა კვიციანი, უდანაშაულო ქალი, არაფრის გამო რომ იჯდა 6 წელი ციხეში, მაშინ იძახდნენ, რომ ის არის დემოკრატიის შუქურა, გირგვლიანზე აღარ ვლაპარაკობ, 150 ადამიანი პირდაპირ ქუჩაში ჩახოცეს, ყოველგვარი სასამართლოს გარეშე.

ევროპარლამენტარების მოწოდება თუ თეთრზე მიმტკიცებენ რომ შავია, არაფერს ნიშნავს, პირიქით, შეურაცხმყოფელია, გეუბნებით, რომ ამ ადამიანების მოწოდება შეურაცხმყოფელია ქართველი საზოგადოებისთვის, ნორა კვიციანი არის გარდაცვლილი და დღეს რომ გამოდიან და სააკაშვილის გადარჩენაზე გველაპარაკებიან, შეურაცხმყოფელია, – განაცხადა ყაველაშვილმა.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილის მძიმე მდგომარეობას, ყაველაშვილიც აცხადებს, რომ სააკაშვილი იტყუება.

– დიაგნოზი რა აქვს სააკაშვილს?! ორი პარლამენტარია, სულ რაღაც სამ თვეში, ვერ იცნობთ, ისე აქვთ დაკლებული, დიტო სამხარაძეა და მეორე ბექა ოდიშარია. ლომჯარიას და კონსილიუმის ექიმმა დაადასტურა, რომ კუჭის ოპერაცია აქვს გაკეთებული. მე არ ვარ მედიცინის მუშაკი, არც კონსილიუმის წევრი, ვერ შევაფასებ, საზოგადოება უყურებს ამ პროცესს და ევროპარლამენტარები, როცა ეტყვით, რომ კვდება ადამიანი, რას იტყვიან, რომ მოკვდეს? – რა თქმა უნდა, გამოექომაგება და სპეციალურად რომ ვრცელდება პრესაში, ლობისტური კომპანია დაიქირავეს და ფულს უხდიან, რომ ამ თემაზე ივაჭრონ და მთელ ქვეყანას მოსდონ, ეს ხომ ფაქტია? ამაზე ხომ წინასწარ ვსაუბრობდით, სიმართლე ხომ სხვა რამეა და სიმართლის გაგონება არ გინდათ. იცის საზოგადოებამ და კარგად იცნობს ამ ადამიანს, იცის მისი მავნებლური მმართველობა და ამით ვერ მოხდება ამ ადამიანის „გაპრავება“, მოუწევს შეგუება თავის ბედთან. თაკო ჩარკვიანი იძახდა, ხომ დაამტკიცა, რომ ვაუკაციაო და რა დაამტკიცა?! ასეთი სიმხდალე... თქვენი ლიდერი რომ არის, გვარამია, იმაზე არ წუხხართ, იმას რა, კუჭი არ სტკივა ან თავი არ სტკივა? – გაგიგიათ იმ ადამიანის წუწუნი?

და ვისზე გვესაუბრებით, პირველი დღიდან შიმშილობაზე რას აკეთებდა, მერე, როგორ მთელი მსოფლიო ჩართო, რომ როგორც პატარა ბავშვი, ვერ ძლებს, ვერ ეგუება, რომ ციხეში შეიძლება მოუწიოს, ეს არის ვაუკაცობა? გორში როგორც მოიქცა, ხომ დავინახეთ და იმ მოქცევის გაგრძელებაა ეს. ვის უნდა ასეთი ლიდერი? ეს არის სამარცხვინო ლიდერი, სამარცხვინოდ იქცევა და ჩართული ჰყავს ოჯახის წევრები, ცოლები, ყოფილი ცოლები, მომავალი ცოლები, რა ვიცი, მთელი საზოგადოება ჩართული ჰყავს, რომ როგორმე დაიხსნან პატიმრობიდან, ასეთი სამარცხვინო არსებაა, ეს ისტორიას დარჩება, როგორი არ უნდა იყოს მმართველი. ჩვენი ბრალია, რომ ეს ადამიანები მივაკარეთ ხელისუფლებას და დღეს გველაპარაკებიან, რომ ცუდად არის და ვერ ჭამს, ხომ ჩაერთვება ხვალ და დავინახავთ, რამდენჯერ წაუვა გული სპეციალურად, – აცხადებს ყაველაშვილი.

კითხვაზე, იმის თქმა უნდა, რომ სააკაშვილი იტყუება თუ რეალურად ცუდად არის? ყაველაშვილი პასუხობს: „იტყუება, აბა რა არის“.

უკრაინაში კიდევ ორი ქართველი მებრძოლი დაიღუპა

უკრაინაში კიდევ ორი ქართველი მებრძოლი მიხეილ თევდორაძე და სერგო ქართველიშვილი დაიღუპნენ. ისინი ბახმუტის მიმართულებაზე იბრძოდნენ.

ინფორმაციას სოციალურ ქსელში უკრაინაში მყოფი მათი თანამებრძოლები ავრცელებენ.

სხვა დეტალები ამ დროისთვის უცნობია.

უკრაინაში რუსეთის ომს 36 ქართველი მებრძოლი ემსხვერპლა.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვრაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ქართულ ოცნებას“ ერთი ასანთის ქარხანა ვერ აუშენებია, რომელ ანაკლიის პროექტს ააშენებენ?!“

ლაშა ჩხარტიშვილი: „რატომ არის შეჩერებული ბაქო-ყარსი-ახალქალაქის პროექტი?! იმიტომ ხომ არა, რომ ამ პროექტით დასავლეთს ვუახლოვდებით და არა რუსეთს?!“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, პრემიერმა განაცხადა, ანაკლიის პორტს სახელმწიფო ააშენებს. რომან გოცირიძე აცხადებს, რომ არც ერთი სერიოზული ინვესტორი ტენდერში არ მიიღებს მონაწილეობას, როდესაც საკონტროლო პაკეტს მთავრობა ფლობს. რამდენად შეძლებს სახელმწიფო ანაკლიის პროექტის განხორციელებას?

– ეს არის ივანიშვილის მორიგი ტრიუკი. ერთი ასანთის ქარხანა ვერ აუშენებიათ და რომელ ანაკლიის პროექტს ააშენებენ?! ეს სრულიად წარმოუდგენელია.

ანაკლიის პროექტს საქართველოსთვის გლობალური, ფართომასშტაბიანი დატვირთვა აქვს. ანაკლიის პროექტი სწორედ ამ კონტექსტში უნდა აშენდეს. ამიტომ არანაირი ანაკლიის პროექტი არ აშენდება, რადგან ამ ხელისუფლების მიზანი არ არის, საქართველო იქცეს ასეთ გლობალურ, დასავლური დაცულობის ქოლგის ნაწილად. როგორც დაპირებული ასი ქარხანა ააშენა, ისე ააშენებს ანაკლიის პორტსაც. ეს არის მორიგი საკენკი და ფანდი „ქართული ოცნების“ მხრიდან, რომელსაც, დიდი იმედი მაქვს, ქართველი ხალხი კარგად მიხვდება. არც ერთი დანაპირები, რომელიც რაიმეს აღმშენებლობას ეხებოდა, „ქართულ ოცნებას“ არ შეუსრულებია.

ერთადერთი, რასაც „ქართულმა ოცნებამ“ წარმატებით თავი გაართვა, ეს რუსეთთან დაახლოება და რუსეთის მოქალაქეების ჩამოსახლებაა. რუსეთ-უკრაინის ომმა სავსებით ნათლად გამოკვეთა, რომ ეს ხელისუფლება არის რუსეთის მხარეს და არა დასავლეთის მხარეს. რეჟიმმა ღიად გვაქცია ბელორუსული ტიპის სახელმწიფოდ. ბელორუსში კიდევ, ანაკლიის მსგავსი პროექტები, სრულიად წარმოუდგენელია განხორციელდეს. ამიტომ ასეთ პროექტებს ამ ხელისუფლების პირობებში განხორციელება არ უწერია. „ქართულმა ოცნებამ“ ერთადერთი, რაც შეძლო, ეს ნამდვილად გააკეთა, ვგულისხმობ ტროლებისა და ბიტკოინების ქარხნის აღმშენებლობას.

„რეჟიმმა ღიად გვაქცია ბელორუსული ტიპის სახელმწიფოდ“

– წარმოუდგენელი გგონიათ ამ პროექტის განხორციელება, თუნდაც მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე?

– რა თქმა უნდა! სრულიად წარმოუდგენელია ივანიშვილმა ანაკლიის პროექტი ააშენოს. ისევე, როგორც სრულიად წარმოუდგენელი მგონია, „ქართულ ოცნებას“ ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსის მიღება უნდოდეს. ამ ხელისუფლებას ერთადერთი მიზანი და ამოცანა აქვს, ყველაფრის ფასად ძალაუფლება შეინარჩუნოს. ამისთვის სჭირდება ამომრჩეველს მოაჩვენოს თავი, რომ ის მუშაობს, მაგალითად, 12-პუნქტიან გეგმაზე. რომ იღებს კანონპროექტებს, რომელიც თითქოს საქართველოს აახლოებს ევროპასთან, ევროკავშირთან, მაგრამ ხომ ვიცით, რეალურად რა ხდება. ხომ სასაცილოა, მიიღო კანონი „დეოლიგარქიზაციის“ შესახებ და ეს კანონი არ შეეხოს ქვეყანაში მოქმედ თუ არსებულ ერთადერთ ოლიგარქს?! ეს ნამდვილად არის სასაცილო, სატირალი რომ არ იყოს. ვის ასულელებენ, ან ვის უხვევენ თვალებს, ხომ მშვენივრად იცის ყველამ ყველაფერი, შინ თუ გარეთ?!

კიდევ ერთი პუნქტი იმ 12 პუნქტიდან სასამართლო სისტემას ეხება. რომელ სასამართლო სისტემის რეფორმაზეა საუბარი, როდესაც ყველასათვის კარგად ცნობილი ოდიოზური კლანის მამები – ჩინჩალაძე და მურუსიძე სისტემაში დაბრუნდნენ. ან ვის მოატყუებენ, ან ვის ეტყვიან, რომ მურუსიძე სასამართლოს სინდის-ნამუსია, რომ ასეთ ღირსეულ, მიუკერძოებელ მოსამართლეებზე დგას სასამართლო კორპუსი და ამიტომ იყოს მისი დაბრუნება აუცილებელი. მურუსიძის ღირსებებზე (რასაკვირველია, ბრჭყალებში ვამბობ) მთელმა ევროპამ და ადამიანის უფლებათა სასამართლომ იცის ყველაფერი.

ესენი მზად არიან, თავიანთი ძალაუფლების შენარჩუნებას ანაცვალონ ქვეყნის უსაფრთხოებაც და თუ საჭირო გახდა, სუვერენიტეტიც.

– როგორც ექსპერტები ამბობენ, ანაკლიის პროექტს გლობალური პოტენციალი აქვს.

– რა თქმა უნდა, განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს უსაფრთხოების, ეკონომიკური კუთხით. რეალურად შეუძლია კორიდორის ფუნქცია შეასრულოს დასავლეთსა და აზიას შორის, მაგრამ ამათ მხოლოდ რუსეთთან კორიდორი აწყობთ. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, მალე კადიროვის იდეას ხორცი შეესხას და ხევსურეთის გავლით ახალი გზების მშენებლობაც დაიწყოს, რომ უფრო სწრაფი გახდეს რუსეთთან დაახლოება. მე კითხვა მაქვს – რატომ არის შეჩერებული ბაქო-ყარსი-ახალქალაქის პროექტი?! იმიტომ ხომ არა, რომ ამ პროექტით დასავლეთს ვუახლოვდებით და არა რუსეთს?!

ყველაფერი მარტივია – ევროპაში ავტოკრატების ადგილი არ არის. ავტოკრატების ძალაუფლებას მხოლოდ რუსეთი და პუტინი აღიარებს.

„რუსეთის 17 ათასი კომპანია მოქმედებს დღეს საქართველოში“

ნიკა შენგელია: „სამწუხაროდ, ჩვენი ეკონომიკა რუსეთ-უკრაინის ომის ხარჯზე იზრდება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ნიკა შენგელია პასუხობს.

– ბატონო ნიკა, ანაკლიის პორტის თემა, პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა კვლავ აქტუალური გახადა. პრემიერის თქმით, საკონტროლო პაკეტის 51%-იანი წილის მფლობელი სწორედ სახელმწიფო იქნება. რატომ დაინტერესდნენ მაინცდამაინც ახლა, სად იყვნენ აქამდე და დაგვიანებული ხომ არ არის ამ ყველაფერზე საუბარი?

– მთავრობა მიხვდა, რომ იცვლება გეოპოლიტიკური სიტუაცია და ეს პორტი ნამდვილად საჭირო იყო საქართველოსთვის და დარწმუნდნენ, რომ ახლაც საჭირო იქნება. ასეთი დიდი პორტის არსებობა, გარკვეულწილად ქვეყნის სიმშვიდის გარანტიაა. კარგი იქნებოდა ამ პორტის მფლობელი ყოფილიყო ან ჩინური კომპანია, ან დასავლური, რათა პოლიტიკურად უფრო დაცულები ვყოფილიყავით სამომავლოდ.

– რამდენად მომგებიანია, როცა სახელმწიფოა საკონტროლო პაკეტის მფლობელი? ამას დათანხმდება ინვესტორი?

– ინვესტორს თუ შესთავაზებენ, რომ მერე ნელ-ნელა შეასყიდიან, წესით ამას ინვესტორი დათანხმდება, რა თქმა უნდა. იმიტომ, რომ მიმზიდველი ხდება ამ პორტის არსებობა. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ამ ომის გამო რუსეთს კიდევ რამდენიმე წელი სანქციები ექნება დადებული. რომც დამთავრდეს ეს ომი სამ თვეში, როგორც ვარაუდობენ, თუმცა არა მგონია ასე იყოს, ამის მიუხედავად, რუსეთს სანქციები მაინც დარჩება. ამიტომ ამ პორტის დანიშნულება გამართლებულია ტვირთების მხრივ. იგივე აზიიდან, ჩინეთიდან. შესაძლოა ყაზახისტანიდან. ეს პორტი უკვე დიდი გამტარუნარიანი ხდება. სამწუხაროდ, მთავრობა უკვე გვიან მიხვდა ამას, თუმცა კარგია, რომ საერთოდ მიხვდა.

– რატომ არ დაეხმარა სახელმწიფო ხაზარაძეს? თუკი მონაწილეობა უნდოდათ, დასდგომოდნენ გვერდში? ახლა სერიოზულად აკრიტიკებს პრემიერი, აზარალეს ქვეყანაო.

– ახლა ენას ძვალი არა აქვს. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, მაშინ რატომ გააჩერეს ამ პორტის მშენებლობა, ეს იყო უშუალოდ რუსეთიდან ზეწოლის პოლიტიკური მომენტი. ახლა ხვდება მთავრობაც და უკვე პრაგმატულად დგამს ნაბიჯებს. მე მაინც დადებითად შევაფასებდი ამ სიტუაციას. მთავარია გაკეთდეს. რაც მეტი რამ გაკეთდება, მით უკეთესი ქვეყნისთვის. საყურადღებოა, მთავრობა რომ შეიცვლება, როგორი იქნება ხარჯები ამ პროექტის მშენებლობის. ეს დეტალები ინვესტორებს აშინებთ.

– როგორ ფიქრობთ, უკვე ცნობილია ხელისუფლებისთვის ინვესტორის ვინაობა?

– ალბათ ეცოდინებათ ინვესტორი, რა თქმა უნდა. ინვესტორის გარეშე არც ამ განცხადებას გააკეთებდნენ.

– რამდენად იზარალა სახელმწიფომ და რამდენად დაგვიანებულია ეს პროექტი?

– რა თქმა უნდა, დაგვიანებულია იმ კუთხით, ეს რომ დაწყებულიყო სამი-ოთხი წლის წინ, მზად მაინც ვერ იქნებოდა, მაგრამ დამთავრებისკენ იქნებოდა. ახლა კიდევ რამდენი წელი დასჭირდება მის მშენებლობას, არავინ იცის. დაგვიანებულია, მაგრამ მაინც მომგებიანი პროექტი იქნება.

– ბატონო ნიკა, პრემიერ-მინისტრი მთავრობის სხდომას ყოველთვის ნიშნის მოგებით იწყებს, რომ ამ ქვეყანაში ვიღაცას ომი და მეორე ფრონტის გახსნა უნდოდა, მაგრამ მივიღეთ ეკონომიკური ზრდაო. ყოველთვის რიცხვებზე აპელირებს, რამდენად სწორი შეფასებებია ეს ეკონომიკური თვალსაზრისით?

– კი, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა მივიღეთ, მაგრამ რამ გამოიწვია ეს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა? შევახსენებდი პრემიერს, რომ საქართველოში ეკონომიკური ზრდა გამოიწვია რუსეთიდან ხალხის მიგრაციამ. რომ დავყვეთ ჩვენ მაკროეკონომიკურ პარამეტრებს, მარტო რუსეთიდან როგორ გაიზარდა ფულის გადმორიცხვები, რა თქმა უნდა, ეკონომიკური ზრდა ექნებოდათ.

– თუმცა მოსახლეობას და მათ კეთილდღეობას არ დაეტყო ეს ყველაფერი. ხალხი უკიდურესად გაჭირვებულია.

– მოსახლეობას არც დაეტყობოდა. ეს თანხები თვითონ ამ ხალხს შემოჰყვა და არა ის, რომ ინკლუზიურად გადანაწილდა ჩვენ მოსახლეობაში. რუსეთის 17 ათასი კომპანია მოქმედებს დღეს საქართველოში და აქედან ნახევარზე მეტი, 9.500, გაიხსნა 25 თებერვლის შემდეგ. ამ 9.500 კომპანიის 97% ინდმეწარმეა. ანუ ის ხალხი, აქ რომ ტურისტებად მონათლეს, საცხოვრებლად და ბიზნესის საკეთებლად შემოდის აქ!

– ახლა რუსეთთან ფრენების აღდგენაზე დაიწყო საუბარი ხელისუფლებამ. ეს რამდენად სწორია და ეკონომიკური თვალსაზრისით რისი მომტანია?

– ხელისუფლებამ ფრენების აღდგენაზე დაიწყო საუბარი, რადგან მიხვდა, რომ ამ შოკმა ეკონომიკა გაზარდა 10%-ით. ფრენები თუ აღდგება და რუსეთის მხარე ვიზებს თუ მოხსნის ქართველ მოსახლეობაზე, ეკონომიკა კიდევ უფრო გაიზრდება. 2023 წელსაც გვექნება 10 და 15%-იანი ეკონომიკური ზრდა, თუ მოხსნეს ვიზები ქართველ მოსახლეობაზე. რატომ? იმიტომ, რომ ეკონომიკა რა არის, მოსახლეობის მეტი აქტივობა, მეტი კონტრაქტის დადება, მეტი ფულის გადმორიცხვა. მე პირდაპირ გეტყვით, 50 წელს გადაცილებული ხალხი ისევ დაიწყებს რუსეთში გადასვლას და დაიწყებს ეკონომიკურ აქტივობას.

– გამოდის, რომ მთლიანად რუსეთს ვეკიდებით ეკონომიკურად?

– სამწუხაროდ. საქართველოს რუსეთის ეკონომიკაზე დამოკიდებულება, ჯერჯერობით, გაზრდილია ორჯერ. თუ ასე გაგრძელდა, უფრო გაიზრდება, რასაც მე არ ვისურვებდი. ასეთ პირობებში, როდესაც ქვეყნის ეკონომიკური დამოკიდებულება იზრდება რუსეთის ეკონომიკაზე, ეს კარგი არ არის. ერთ დღესაც რომ გაჩერდეს ეს ეკონომიკური ურთიერთობები, მერე ქვეყანა შევა სერიოზულ კრიზისში.

– როდესაც ქვეყანა ევროკავშირისკენ მიისწრაფვის, გვინდა სტატუსი და ამ დროს ქვეყნის ეკონომიკა მთლიანად რუსეთზეა ჩამოკიდებული, ეს ნორმალურია?

– ქვეყნის ეკონომიკის ენერგეტიკული ნაწილი ისედაც რუსეთზე იყო ჩამოკიდებული და ეს დაიწყო სააკაშვილის ხელისუფლების დროს. ენერგეტიკის 80% მისცეს რუსებს. ამათმა კი ეს კურსი გააგრძელეს.

– და გააძლიერეს...

– კი, გააორმაგეს კიდეც.

– რა მოლოდინები გაქვთ?

– ფაქტიურად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა იზრდება ამ ომის ხარჯზე. აბა, რამე ახალი ქარხანა ან ფაბრიკა გაიხსნა საქართველოში? დასაქმდა ვინმე? არა! უბრალოდ, შემოვიდა დიდი რაოდენობა მიგრანტების, შემოვიდა ფულადი გზავნილები და ჩვენი ეკონომიკის ეს ნახტომისებური ზრდა განაპირობა სწორედ ამ ფულადი გზავნილების გაზრდამ. მარტო რუსეთიდან, ტურიზმის, ფულადი გადმორიცხვების და ექსპორტის სახით, საქართველოს ოქტომბრის მონაცემებით შემოუვიდა 2,7 მილიარდზე მეტი, რაც ჩვენი მთლიანი შიდა პროდუქტის 12,7%-ია. ანალოგიური პერიოდი, შარშანდელს თუ შევადარებთ, იყო 6%. ანუ ორჯერ და ცოტა მეტჯერ გაიზარდა. ეს მე არ მომიგონია, ეს არის ჩვენი სტატისტიკის ციფრები, ამოწერონ ეს ციფრები, დახედონ და რატომ გვაქვს ეკონომიკური ზრდა, მერე გააკეთონ დასკვნები!

ანა ფოტიგა: „მიხეილ სააკაშვილის ციხეში შესაძლო დაღუპვა მხოლოდ პუტინს არგებს“

ევროპარლამენტარები მიხეილ სააკაშვილის ოჯახის წევრებს შეხვდნენ. ინფორმაციას ამის შესახებ ევროპარლამენტარი ანა ფოტიგა „ტვიტერზე“ ავრცელებს.

– რამდენიმე პარტიის ევროპარლამენტარები პატიმრობაში მყოფ მიხეილ სააკაშვილის სოლიდარობის ნიშნად საქართველოს მესამე პრეზიდენტის ოჯახის წევრებს შეხვდნენ.

მიხეილ სააკაშვილის ციხეში შესაძლო დაღუპვა მხოლოდ პუტინს არგებს, საზიანო იქნება მთლიანად ქვეყნისთვის და მისი ევროატლანტიკური მისწრაფებებისთვის.

გადაარჩინეთ მიშა, – წერს ფოტიგა „ტვიტერზე“.

სჭირდება თუ არა უკრაინას იერიში კრემლზე?

უკრაინელი ანალიტიკოსი: „რუსეთს ჩაუფლავდა დასავლეთის გაზითა და ნავთობით შანტაჟის მცდელობა“

მარიამ მჭედლიშვილი

ბოლო დროს ხშირად საუბრობენ უკრაინის მხრიდან რუსეთის სხვადასხვა ქალაქსა თუ ობიექტზე თავდასხმების პერსპექტივაზე. თითო-ოროლა დარტყმა რუსეთის ობიექტებზე ადრეც ყოფილა. ამჯერად შესაძლო იერიშის სამიზნედ სახელდება მოსკოვიც. არის თუ არა ეს მოსალოდნელი და აუცილებელი? დარჩა თუ არა ბირთვული საფრთხე? ამ და სხვა საკითხებზე უკრაინულ მედიას ესაუბრა უკრაინელი ანალიტიკოსი ალექსეი მელნიკი.

– დასავლური გამოცემები ირწმუნებიან, რომ უკრაინას გაუჩნდა იარაღი, რომელსაც შეუძლია დარტყმების მიყენება მოსკოვისთვის. რა შემთხვევაში შეუძლია უკრაინას მისი გამოყენება?

– უკრაინა ოფიციალურად არ აღიარებს, რომ განახორციელა დარტყმები ყირიმის ხიდსა და სხვადასხვა ობიექტზე რუსეთის ტერიტორიაზე. ამიტომ, დავეყრდნოთ ჰიპოთეზას – ჩვენი ვარაუდით, ამის უკან დგანან ან შეიარაღებული ძალები, ან სპეცსამსახურები, რომლებსაც ამის გაკეთება შეუძლიათ. ნებისმიერ შემთხვევაში, არის საფუძველი დავამტკიცოთ, რომ უკრაინას ომის გარკვეული ეტაპიდან შეეძლო დარტყმების მიტანა სამხედრო ან მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. ესე იგი იმ ობიექტებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ სამხედრო მოქმედებაზე. უფრო ზუსტად, რუსეთის არმიის უნარზე განახორციელოს აგრესია უკრაინის ტერიტორიაზე.

ამჟამად გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ უკრაინას აქვს საშუალებები, რომლითაც მას შეუძლია, ხატოვნად რომ ვთქვათ, მისწვდეს მოსკოვს. ამგვარი საშუალებების

რუსეთი ზამთარში დრონებს ნაკლებად გამოიყენებს

ქონა მხოლოდ შესაძლებლობაა. არსებობს თუ არა ასეთი დარტყმების საჭიროება? რა რისკი ჩნდება ასეთი დარტყმების განხორციელებისას? – ასეთ საკითხებს წყვეტს სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა. აღბათ, ბევრ უკრაინელს უნდა, დაინახოს, როგორ იწვის და ეცემა კრემლის რომელიმე კოშკი.

ვიდრე ასეთ ნაბიჯს გადადგამ, მკაფიოდ უნდა განსაზღვრო, რას მიაღწევ ამით და რა რისკები გაჩნდება. ჩვენი დაშანტაჟება მასირებული სარაკეტო დარტყმებით რთულია, ვინაიდან ისინი მაინც ხდება, მაგრამ შენარჩუნებულია რუსეთის ფედერაციის მხრიდან ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხე. განსაკუთრებით, როცა საუბარია არა ბრძოლის ველზე, არამედ, დიდ ქალაქებზე. თანმხლები მოვლენები მოსახლეობისათვის – ეს ის რისკებია, რომლებიც მკაფიოდ უნდა შეფასდეს და შეძლებისდაგვარად, თავიდან იქნას აცილებული.

– ანუ, თუ უკრაინა მიზანმიმართულად დაიწყებს დარტყმების განხორციელებას რუსეთზე, რუსეთის ფედერაცია ამას უპასუხებს ისე, როგორც ჩამოთვალეთ?

– აქ საუბარი არაა პასუხზე ფორმატში „თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ“. . განვიხილოთ ყველა ჩატარებული სპეცოპერაცია (უკრაინის შეიარაღებული ძალების ან სპეცსამსახურების მხრიდან). მაგალითად, „ენგელსი 2“-ის აეროდრომზე. მას ჰქონდა სამხედრო მიზანი. ისევე, როგორც ნავთობპროდუქტების ბაზის განადგურებას კურსკში. ყირიმის ხიდიც კი არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ლოჯისტიკური რგოლი. ყოველი ამ დარტყმის უკან დგას მკაფიო ლოგიკა და გათვლილია რისკები.

– მინდოდა დამეზუსტებინა – როგორი იქნება რუსეთის რეაქცია?

– პირველი ინტრიგა, რომელიც რჩება – შეუძლია თუ არა რუსეთს, გარკვეულ მომენტში გამოიყენოს ტაქტიკური ბირთვული იარაღი? ეს არის საკვანძო საკითხი, რომელიც აღელვებს, პირველ რიგში, დასავლელ პარტნიორებს.

რუსეთს შემორჩა გარკვეული ინსტრუმენტები. რუსეთს ჩაუფლავდა დასავლეთის გაზითა და ნავთობით შანტაჟის მცდელობა. მას შიმშილის პროვოცირებაც უნდოდა. ეს დაარტყამდა ჩვენი პარტნიორების უსაფრთხოებას. არსებობს კიდევ ერთი სივრცე, სადაც ომი მიდის და რომელიც საკმარისად არაა მოწესრიგებული საერთაშორისო სამართლის ნორმებით – ესაა კიბერსივრცე. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ რუსეთს შეუძლია გადაჭრას კაბელები, რომლებიც გადის ოკეანის ფსკერზე, რითიც დაანგრევს ინტერნეტის გლობალურ ქსელს. ამიტომ, ყველა ფაქტორი გასათვალისწინებელია.

– ამ კვირაში რუსეთმა დაიწყო დრონების აქტიურად გამოყენება. მათ წარმომავლობაზე სხვადასხვა ვერსია გამოითქმის. რაზე მეტყველებს ეს? რუსეთს რაკეტების მარაგი გამოელია?

– დრონებს თავისი საშიში მისია აკისრია. პირველ რიგში, ისინი იაფია. თუ ხდება მასობრივი იერიში დრონებით, მათ წინააღმდეგ, მათ ჩამოსაგდებად გამოიყენება რაკეტები, რომლებიც ათჯერ და ასჯერაც კი ძვირია (დრონებზე). ომის ეს ეკონომიკაც მხედველობაშია მისაღები. რუსეთს რომ დრონების უსაზღვრო რაოდენობა ჰქონდეს, ის, თეორიულად, შეძლებდა უკრაინის თავდაცვის სისტემის მოკლე ხანში გამოფიტვას. გარდა ამისა, როცა დრონების წინააღმდეგ მუშაობს საჰაერო თავდაცვა, აშკარავდება მისი ლოკატორების, კომპლექსების ადგილმდებარეობა. ისინი გამანადგურებელი საშუალებებისთვის მოწყვლადი ხდება.

დრონები პრაქტიკულად არ ჩანდნენ 2-3 კვირის განმავლობაში. რატომ? ამის მიზეზი შეიძლება რამდენიმე იყოს: ან დრონები გარკვეული ხნით გააჩერეს, ან ელოდნენ ახალ პარტიას, ან რუსეთმა თვითონ მოაგვარა ამ დრონების წარმოება.

ზამთრის პირობებში დრონების გამოყენება იზღუდება: როცა დაბალი ტემპერატურა და მაღალი ტენიანობაა, ასეთი საფრენი აპარატები იყინება. ამიტომ რუსეთი დრონებს გამოიყენებს გარკვეულ დღეებში, როცა ამინდი ხელს შეუწყობს მათ გაშვებას.

რატი ბრეგაძე: „თუ არ შეწყდება სიმულაციური ქმედებები, იძულებულები გავხდებით, გავასაჯაროოთ გარკვეული კადრები“

– არსებობს დამადასტურებელი მასალა, ასეთია ვიდეო-მასალა, რომელიც ნათლად აჩვენებს, რომ მიხეილ სააკაშვილი ხელს უშლიდა ექიმების საქმიანობას და ასევე სასამართლოს საქმიანობას, – ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ „კურიერთან“ ექსკლუზიური ინტერვიუს დროს განაცხადა.

მისი თქმით, თუ არ შეწყდება სიმულაციური მოქმედებები, გარკვეული კადრები გასაჯაროვდება.

– რა თქმა უნდა, სიმულაციებთან გვაქვს საქმე, ეს თამამად უნდა ვთქვათ. მე ამ შემთხვევაში არ ვსაუბრობ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, თუმცა გარკვეული სიმულაციები არის. ამის შესაბამისი მტკიცებულებებიც არსებობს. ჩვენ აქამდე შეგნებულად ვიკავებდით თავს მსგავსი საუბრისგან, ყოველთვის მოვუწოდებდით მას, რომ დამორჩილებოდა ექიმების თხოვნას, ჩაეტარებინა სრულფასოვანი მკურნალობა, ხელი შეეწყო როგორც მას, ასევე, მის გარემოცვასაც მკურნალი ექიმებისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, თამამად უნდა ითქვას, რომ სრულფასოვან მკურნალობას ვერ ვხედავთ, სიმულაციებს აქვს ადგილი.

რა თქმა უნდა, არსებობს დამადასტურებელი მასალა, ასეთი არის ვიდეო-მასალა. ეს ვიდეო-მასალა ნათლად აჩვენებს, რომ ეს ადამიანი ხელს უშლიდა ექიმების საქმიანობას და ასევე, სასამართლოს საქმიანობას. ჩვენ ვერიდებით ამ ყველაფერზე საუბარს, მაგრამ თუკი მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, რასაც ჰქვია ქართველი ხალხის უსაფრთხოება, სახელმწიფოს უსაფრთხოება და საერთაშორისო იმიჯი და, ასევე, იმის დადასტურება, რომ საქართველოში არავის აწამებენ და საქართველოსგან არ უნდა შეიქმნას მტრის ხატი. თუ არ შეწყდება სიმულაციური მოქმედებები, იძულებული ვიქნებით, გარკვეული კადრები გავასაჯაროოთ, – განაცხადა რატი ბრეგაძემ.

„თუ სააკაშვილს რამე დაემართა ციხეში, საქართველოს შეუძლია დაივიწყოს ყველაფერი, რასაც აქამდე ევროპისგან ითხოვდა“

ევროპელი დეპუტატები მნიშვნელოვანი დებატების დაწყების წინ, საქართველოს ხელისუფლებას მიმართავენ და მიხეილ სააკაშვილის უცხოეთში სამკურნალოდ გადაყვანას ითხოვენ.

გადაარჩინე მიშა – ევროპარლამენტარების გზავნილი მსოფლიოს

– ვიცით, რომ სააკაშვილი წლების განმავლობაში იყო პუტინის მთავარი ოპონენტი და მისი პირადი მტერი, მისი დაპატიმრება საქართველოში აწყობს მხოლოდ დიდ კრიმინალს, რომელიც დაუჯერებელ სისასტიკეს სჩადის უკრაინაში, – ამბობს ევროპარლამენტარი ანა ფოტიგა.

ევროპელი პოლიტიკოსების თქმით, საქართველოს მესამე პრეზიდენტის სიცოცხლე გადასარჩენია და საქართველოს მთავრობის დამოკიდებულება, ქვეყანას ცუდ შედეგებს მოუტანს.

მათივე თქმით, თუ მიხეილ სააკაშვილი ციხეში დაიღუპება, პასუხისმგებლობა მთლიანად დაეკისრება საქართველოს მოქმედ ხელისუფლებას:

მიხეილ სააკაშვილი არის საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი და სამწუხაროა იმის ხილვა, თუ როგორც ეპყრობა მას ახლანდელი ხელისუფლება და სამართალდამცავი უწყება. ვფიქრობ, რომ ეს არის ჰუმანიტარული საკითხი, ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რომ ეს საქმე დაიძრას და უზრუნველვყოთ მისი სიცოცხლის გადარჩენა. აქ, ევროპარლამენტში ყველა პოლიტიკური ძალა უნდა გაერთიანდეს, რომ მიხეილ სააკაშვილი ციხეში არ მოკვდეს, – ამბობს ვიოლა ფონ კრამონი.

– თუ საქართველოს მთავრობას სურს, რომ ქვეყანამ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიიღოს, პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადადგას, არის ის, რომ უნდა დაუშვას მიხეილ სააკაშვილის გადაყვანა და მკურნალობა ევროპაში. თუ ბატონი მიხეილ სააკაშვილი ციხეში გარდაიცვალა, პასუხისმგებლობა მთლიანად დაეკისრება მთავრობას და ამის შემდეგ მათ შეუძლიათ დაივიწყონ ყველაფერი, რისი იმედიც აქამდე ჰქონდათ ევროპიდან. ახლა მთელ ევროპაში უკვე ყველას ესმის ერთი რამ, მიშას საკითხი არის ლაკმუსის ქაღალდი...

კიდევ ერთხელ, თუ სააკაშვილს რამე დაემართა ციხეში, საქართველოს შეუძლია დაივიწყოს ყველაფერი, რასაც აქამდე ევროპისგან ითხოვდა, – ამბობს ევროპარლამენტარი რაფაელ გლუკსმანი.

რამდენიმე საათში საქართველოს მესამე პრეზიდენტის მძიმე მდგომარეობაზე პოლიტიკური განცხადებები გაკეთდება ევროპარლამენტში, სადაც საქართველოს საკითხზე დებატები გაიმართება.

ანა წითლაძე: „ვიქტორ ჯაფარიძე ცხრა წელი სააკაშვილის და როლანდ ახალაიას მონა იყო“

– ვიქტორ ჯაფარიძე არის ნაძირალა, არაკაცი, ის ცხრა წელი სააკაშვილის და როლანდ ახალაიას მონა იყო – როგორი მონაც იყო, ასეთ მონად დარჩება! – ეს განცხადება დეპუტატ ვიქტორ ჯაფარიძის მისამართით ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის დეპუტატმა ანა წითლიძემ, პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის სხდომაზე გააკეთა.

– მინდოდა საუბარი ვიქტორ ჯაფარიძესთან, როგორც კომიტეტის წევრთან და განსახილველი კანონპროექტის ავტორთან. ბატონ ვიქტორისგან განსხვავებით ზურგს უკან და ჩუმად ლაპარაკი არ მჩვევია – რა განცხადებაც მან პრეზიდენტ სააკაშვილზე გააკეთა, არის ნაძირალა, არაკაცი, ის ცხრა წელი სააკაშვილის და როლანდ ახალაიას მონა იყო. როგორი მონაც იყო, ასეთ მონად დარჩება. როგორც ახლა დაიმალა და ვერ შემოვიდა, ისე ვერ შემოვა იქ, სადაც ვართ, – განაცხადა წითლიძემ კომიტეტის სხდომაზე.

ინფორმაციისთვის, დეპუტატი ვიქტორ ჯაფარიძე საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემას შემდეგი რეპლიკით გამოეხმაურა: „მოკვდება და ძაღლი მიკვდომია სულში კიდევ“. დეპუტატმა აღნიშნული შეფასება მას შემდეგ გააკეთა, რაც ყოფილი პრეზიდენტის საკითხზე, პლენარულ სხდომათა დარბაზში, „სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრ დეპუტატ პაატა მანჯგალაძესთან იკამათა. შესაბამისი ვიდეო ტელეკომპანია „ფორმულამ“ გაავრცელა.

არასრულწლოვან გოგოს ბიძა 4 წელი აუპატიურებდა

თანასწორობის მოძრაობის ცნობით, 12 წელი მიუსაჯეს კაცს, რომელიც 2008-2012 წლებში არასრულწლოვან გოგოს სისტემატიურად აუპატიურებდა. განაჩენი 9 წლის შემდეგ დადგა.

მათი ცნობით, ორგანიზაციას 2022 წლის 15 მარტს 21 წლის ქალმა მიმართა, რომელიც აცხადებდა, რომ არასრულწლოვან ასაკში ბიძა მასზე სექსუალურად ძალადობდა. ორგანიზაციის მიმართვის საფუძველზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუპატიურებას გულისხმობს.

– საქმეზე ეფექტურად ჩატარდა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ 2008 წლიდან 2012 წლამდე დროის პერიოდში ბრალდებული სისტემატიურად, ძალადობითა და დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით ახორციელებდა სექსუალური ხასიათის ქმედებებს და სექსუალური ხასიათის შეღწევას. ბრალდებული დაკავებული იქნა გონივრულ ვადაში და მას ბრალდება წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2018 წლის 30 მაისამდე მოქმედი რედაქციით), – ნათქვამია განცხადებაში.

მათივე ცნობით, 2022 წლის 13 დეკემბრის განაჩენით მსჯავრდებული დამნაშავედ ცნეს, შეუფარდეს 16 წლით პატიმრობა, რაც 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლით შეუმცირდა 4 წლით და განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მამაკაცს, რომელმაც აჭარაში რძალი სანადირო თოფიდან გასროლით მოკლა, ბრალდება წარედგინა

პროკურატურამ მამაკაცს, რომელმაც რძალი სანადირო თოფიდან გასროლით მოკლა, ბრალდება წარუდგინა.

უწყების ცნობით, პროკურატურა, ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

ასევე, ბრალდებულის ფსიქიკური ჯანმრთელობის შეფასების მიზნით, შესაბამისი ექსპერტიზა დაინიშნება.

საქართველოს პროკურატურამ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მომხდარი ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობის ფაქტზე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 11 დეკემბერს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტის დროს, ბრალდებულმა, მასზე რეგისტრირებული სანადირო თოფიდან რძალს ესროლა, რომელიც მიყენებული დაზიანების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა.

გამოძიების მასალებით ასევე დგინდება, რომ ბრალდებული სისტემატურად იღებდა ალკოჰოლურ სასმელს, გააჩნდა ფსიქიკური პრობლემები, რასთან დაკავშირებითაც მიმდინარე წლის თებერვალში ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობის კურსს გადიოდა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, ოჯახის წევრის მიმართ) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ოზურგეთში 2 წლის ბავშვი მეორე სართულიდან გადმოვარდა და დაიღუპა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხრიალეთში 2 წლის ბავშვი სიმაღლიდან ვარდნის შედეგად გარდაიცვალა. ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს.

არსებული ინფორმაციით, ბავშვი მეორე სართულის ფანჯრიდან გადავარდა, ის სასწრაფოდ კლინიკაში მიიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

მოსამართლემ განკარგულება გასცა, მიხეილ სააკაშვილი პროცესს დისტანციურ რეჟიმში ჩაერთოს

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ განკარგულება გასცა, რომლის თანახმად მესამე პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს, შესაძლებლობა ექნება 14 დეკემბერს ჩანიშნულ სასამართლო სხდომას დისტანციურ რეჟიმში ჩაერთოს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ განუცხადა.

როგორც მან განმარტა, მიუხედავად განკარგულების გაცემისა, ახლა კლინიკა „ვივამედისგან“ ელოდებიან ნებართვის გაცემას.

ცნობისთვის, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი 14 დეკემბერს, 11:00 საათზე გაიმართება. სხდომაზე დაიკითხებიან მოწმეებიც.

„სააკაშვილის ჯანმრთელობის დაცვა საქართველოს ხელისუფლების პასუხისმგებლობაა“

სააკაშვილის ჯანმრთელობის დაცვა საქართველოს ხელისუფლების პასუხისმგებლობაა, – აღნიშნული კომენტარი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა „ამერიკის ხმასთან“ გააკეთა.

აშშ-ის საგარეო უწყების თქმით, დეპარტამენტი „ძალიან ახლოდან აკვირდება ყოფილი პრეზიდენტის მკურნალობას“.

– ბატონი სააკაშვილის ჯანმრთელობის და ადამიანური უფლებების დაცვა საქართველოს მთავრობის პასუხისმგებლობაა. სახალხო დამცველის სამედიცინო ექსპერტების რეკომენდაციებზე დაყრდნობით, ჩვენ განვაგრძობთ შესაბამის პირებთან სააკაშვილის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის აუცილებელი ნაბიჯების გადადგმის ადვოკატირებას, – ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის წერილობით განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ მიხეილ სააკაშვილისთვის სასჯელის გადავადების, ან გაუქმების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს 9 დეკემბერს უნდა ემსჯელა, თუმცა, სასამართლო სხდომა გადაიდო და ის 14 დეკემბერსაა ჩანიშნული.

დავით სერგეენკო: „მე ვხედავ, რომ პაციენტ სააკაშვილის შემთხვევის მართვა მიმდინარეობს ცალსახად არასწორად“

„ქართული ოცნების“ დეპუტატი დავით სერგეენკო მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებას გამოეხმაურა და თქვა, რომ როცა აქცენტები არასწორად კეთდება და პაციენტის მართვაზე პასუხისმგებლობა მმართველ პარტიას ენიჭება, ეს დამაზიანებელია.

– ვერც ერთი პოლიტიკოსი ვერასოდეს განსაზღვრავს, რა არის უკეთესი პაციენტისთვის. პოლიტიკოსების ჩარევა კლინიკურ მედიცინაში მხოლოდ აუარესებს სიტუაციას და არ აქვს მნიშვნელობა, რა ეროვნების იქნება ეს პოლიტიკოსი და რა პოზიციის წარმომადგენელი იქნება. როცა აქცენტები არასწორად კეთდება და პასუხისმგებლობა პაციენტის მართვაზე ენიჭება მმართველ პარტიას, პოლიტიკოსებს, არის დამაზიანებელი...

მე ვხედავ, რომ პაციენტ სააკაშვილის შემთხვევის მართვა მიმდინარეობს ცალსახად არასწორად, – თქვა დავით სერგეენკომ.

„ნუ აფარებენ ხელს პროკურორები დამნაშავეებს!“ — კოვიდით გარდაცვლილი 20 წლის ფეხბურთელის ოჯახი

„ნუ აფარებენ ხელს პროკურორები დამნაშავეებს!“ – ამ მოწოდებით დღეს, 15:00 საათზე პროკურატურასთან კორონავირუსის დიაგნოზით გარდაცვლილი 20 წლის ფეხბურთელის, ვახტანგ ჩარკვიანის ოჯახი საპროტესტო აქციას გამართავს.

ადვოკატის თქმით, მათი მთავარი მოთხოვნა კლინიკის უფროსი მედდის სისხლის სამართლებრივი პასუხისგებაა. ზაზა ხატიაშვილი ამბობს, რომ დღევანდელი აქცია იქნება გამაფრთხილებელი და იმ შემთხვევაში, თუ მას არ მოჰყვება რეაგირება, ოჯახი პერმანენტულ აქციებს აანონსებს.

უფლებადამცველის განმარტებით, უფროსმა მედდამ აღიარა, რომ მორიგე ექთნების ნაცვლად, თავად მოაწერა ხელი პაციენტის ისტორიას, რაც აჩენს ეჭვებს, რომ დოკუმენტი გაყალბდა.

– ერთი წელია პროკურატურას ეს ჩვენება უდევს, ადამიანი ამბობს, რომ ავადმყოფობის ისტორია გავაყალბეო და სამსახურებრივი სიყალბე სისხლის სამართლის კოდექსში შოთაძემ გააუქმა ფაქტობრივად, იმიტომ, რომ წელიწადზე მეტია ამ ადამიანს პასუხისგებაში არ აძლევენ და პლუს, ეს ადამიანი მუშაობს თავის თანამდებობაზე. უთხრა თეა ბეგიაშვილმა, რომ მას არაფერი ემუქრებოდა თუ ხელს მოაწერდა, შეჰპირდა ამას თეა ბეგიაშვილი, როცა ამ ადამიანის სახელსა და გვარს გავიგებთ და ეს ადამიანი დაჯდება საბრალდებო სკამზე, ჩვენ გვეცოდინება ნათელი სურათი, თუ ვინ დაიწყო ავადმყოფობის ისტორიის გაყალბება. შოთაძეები ფაქტობრივად მფარველობენ ამ დამნაშავეებს, ვინც 20 წლის პერსპექტიული, დიდი მომავლის მქონე ფეხბურთელიო სიცოცხლეს გამოასალმა, – თქვა ზაზა ხატიაშვილმა.

20 წლის ფეხბურთელი რესპუბლიკურ საავადმყოფოში გასული წლის სექტემბერში გარდაიცვალა. ექიმებმა მიზეზად კორონავირუსი დაასახელეს, თუმცა ოჯახი ამბობს, რომ საავადმყოფოში შეყვანის დროს, ახალგაზრდას ვირუსი უკვე დამარცხებული ჰქონდა.

საზოგადოება

გიორგი გაბუნია: „ერთი ხელის მოსმით მთელი ამ თაობის გვერდით გაწევა არ შეიძლებოდა და ძალიან ცუდად შემოუტრიალდა ქვეყანას“

– სახლში რომ ჩაიკეტა, ესეც მისი პრინციპულობის საკითხი იყო. მე, ან ვიქნები პირველ არხზე, ან არ ვიქნები არსად. ვეუბნებოდი, რომ არ შეიძლება, იბრძოლე, ახლა სხვანაირად, თვითიზოლაციაში ნუ მოაქცევ თავს. გამოშვება მოხდა ცუდად, რა თქმა უნდა. სინამდვილეში, იმ ნაკადის ნაწილი იყო, სამწუხაროდ, რასაც შემდეგ დაერქვა „ჩარეცხილები“, – ამის შესახებ ტელეკომპანია „მთავარი არხის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი გაბუნიამ „რადიო თავისუფლების“ ეთერში გოგი გვახარიას გადაცემაში „შვილი“ განაცხადა.

გაბუნიამ ისაუბრა დედის, ტელეწამყვან ჯულიეტა ვაშაყმაძის, საზოგადოებრივი მაუწყებლიდან გამოშვების შესახებ. მან გაიხსენა ვარდების რევოლუციის შემდგომი პერიოდი, როდესაც ხელისუფლების მიერ ასაკოვან თაობას „ჩარეცხილები“ დაერქვათ. როგორც გაბუნიამ აღნიშნა, ლეგენდა, ჯულიეტა ვაშაყმაძე რომ მისულიყო იმ დროს ტელევიზიაში, მას, უბრალოდ, შენობაში აღარ შეუშვებდნენ.

– რევოლუციის შემდეგ, 2004-ში, დაახლოებით ზაფხული იყო, როდესაც ტელევიზიაში იყო რაღაც საუბრები, რომ კონტრაქტებზე უნდა გადაგიყვანოთ, მაგრამ ამან ძალიან პრინციპულად თქვა, რომ რას ჰქვია თქვენ, ერთთვიან კონტრაქტზე გადამიყვანოთ, მე ჯულიეტა ვაშაყმაძე ვარ, რას ნიშნავს დამიდოთ ერთთვიანი კონტრაქტი, რომ ერთი თვის შემდეგ, ან გაგიგრძელებთ იმ კონტრაქტს, ან – არა. პრინციპულად არ მოაწერა ამას ხელი და მახსოვს, რომ ამას ამბობდა. ფოიეში პირველი არხის სია იყო ასეთი ამობეჭდილი, ვინ არიან გაშვებულები და ვისი შეშვება აღარ შეიძლება შენობაში. დაბოლოს, სულ ბოლოში, სიაში პასტით მიაწერეს – ჯულიეტა ვაშაყმაძე. ბოლოს, რომ მივიდა, აღმოაჩინა, რომ პასტით არის მიწერილი მისი სახელი და მორჩა, მას ჩაეკეტა ტელევიზია. ის ტელევიზიაში უბრალოდ, აღარ მივიდა, რა თქმა უნდა, მისი თავმოყვარეობიდან გამომდინარე, მაგ მდგომარეობაში თავს აღარ ჩაიგდებდა, მაგრამ წარმოიდგინეთ, ჯულიეტა ვაშაყმაძე რომ მისულიყო, მას შენობაში არ შეუშვებდნენ.

ეს იყო იმ პოლიტიკის ნაწილი, რომ ძველი თაობა, რაღაცნაირად, გავწიოთ გვერდით და შევცვალოთ ახლით. გასაგებია, ცვლა ბუნებრივად, ისედაც ხდება და ისედაც უნდა მოხდეს, ხომ? სამუდამოდ, ჯულიეტა ვაშაყმაძე ისედაც ვერ იქნებოდა იქ, მაგრამ□ კიდევ ერთხელ, გეუბნებით, ადამიანია, რომელსაც სიცოცხლეშივე ლეგენდად მოიხსენიებდნენ, ერთი ხელის მოსმით მთელი ამ თაობის გვერდით გაწევა, არ შეიძლებოდა და ძალიან ცუდად შემოუტრიალდა არამარტო ხელისუფლებას, მთლიანად – ქვეყანას, – განაცხადა გაბუნიამ.

სურსათის ეროვნული სააგენტო წინასაახალწლოდ საგანგებო მიმართვას ავრცელებს

საახალწლოდ, ხორცისა და ხორცპროდუქტების მოხმარებაზე გაზრდილ მოთხოვნასთან დაკავშირებით, სურსათის ეროვნული სააგენტო განცხადებას ავრცელებს.

არაორგანიზებულ სავაჭრო ადგილებში ხორცისა და მისგან წარმოებული პროდუქტის ფასი, შესაძლოა, მცირედით განსხვავდებოდეს სპეციალიზებულ ობიექტებში არსებული ფასებისაგან, თუმცა, მნიშვნელოვანია მოსახლეობას ახსოვდეს, რომ ვეტერინარული ზედამხედველობის გარეშე დაკლული და რეალიზებული ხორცისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისგან (რძე, ყვავილი, თევზი და ა. შ) ადამიანის დაავადების რისკი საკმაოდ მაღალია.

როგორც სურსათის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, ხორცის შეძენისას, მომხმარებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს რიგ გარემოებებს: ხორცი ინახებოდეს სუფთა, დახურულ მაცივარში, შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის დაცვით; ეტიკეტი განთავსებული იყოს თვალსაჩინო ადგილას.

ხორცის ეტიკეტზე დატანილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია: ქვეყნის დასახელება, სასაკლაოს აღიარების ან პირობითი აღიარების ნომერი;

დამზადებისა და გამოყენების თარიღი და დრო;

თუ ხორცი მიღებულია საქართველოში დაბადებული, გაზრდილი ცხოველისგან („წარმოშობა საქართველო“), ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს ცხოველის საიდენტიფიკაციო საყურე ნიშნის ნომერი;

თუ ხორცი იმპორტირებულია, ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს იმპორტიორი ქვეყნის დასახელება;

საქონლის ხორცის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია □ღ კოდის მეშვეობითაც;

სხვადასხვა წარმომავლობის ხორცი (საქონელი, ცხვარი, ღორი, თხა) მაცივარში განცალკევებით უნდა იყოს განთავსებული. ასევე, ცალ-ცალკე უნდა განთავსდეს სხვადასხვა ქვეყნიდან იმპორტირებული ხორცი.

როდის დაიწყება სკოლებსა და ბაღებში ზამთრის არდადეგები

საჯარო სკოლებში ზამთრის არდადეგები 2022 წლის 30 დეკემბრიდან დაიწყება და 2023 წლის 16 იანვრამდე გაგრძელდება.

მოსწავლეებისთვის საგაკვეთილო პროცესი 29 დეკემბერს, პარასკევ დღეს დასრულდება.

ასევე ცნობილია, რომ საბავშვო ბაღებში სწავლა 29 დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდება, არდადეგები 30 დეკემბრიდან დაიწყება და 16 იანვარს დასრულდება.

ამერიკაში 30 წლის ემიგრანტი გარდაიცვალა

ამერიკაში ახალგაზრდა ემიგრანტი გარდაიცვალა.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, 30 წლის გიორგი ნინიკური, ნიუ იორკში ცხოვრობდა. ახალგაზრდის გარდაცვალების ზუსტი მიზეზი ამ დროისთვის უცნობია.

გარდაცვლილის ახლობლების ნაწილი ამბობს რომ, 30 წლის კაცი გულის შეტევით გარდაიცვალა, თუმცა ჯერჯერობით ექსპერტიზის დასკვნა ცნობილი არ არის.

არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდა ამერიკაში 1 თვის წინ გაემგზავრა, მანამდე ის რუსთავში დაცვის სამსახურში მუშაობდა.

ბახმუტი — ახალი სტალინგრადი?!

– მან ეს რეპუტაცია ჯერ კიდევ სირიაში დაიმტკიცა, – ამბობს უკრაინელი ექსპერტი, პოლკოვნიკი ოლეგ ჟდანოვი.

სუროვიკინმა მდგომარეობის გამოსწორება ვერ შეძლო. მან ვერ შეინარჩუნა ხერსონი, ვერც ის უზრუნველყო, რომ იქიდან რუსულ არმიას ბრძოლით დაეხია უკან. ამის შემდეგ გენერალი დიქტატორ პუტინს შეჰპირდა, რომ ბახმუტს აიღებდა. სუროვიკინი ამის გაკეთებას მართლაც სულით-გულით შეეცადა. პატარა ბახმუტზე 30.000 რუსი ჯარისკაცი იქნა გადასროლილი. აქ იყვნენ ხერსონიდან გამოყვანილი მედესანტეები და ფირმა „ვაგნერის“ და რამზან კადიროვის ბანდიტები. დაიწყო ბახმუტის მასირებული შტურმი.

ეს ვერ მოხერხდა. მაშინ გენერალმა ნაცად მეთოდს მიმართა. მან დაიწყო უკრაინის მთელი ტერიტორიის ტოტალური დაბომბვა. ხდებოდა მთელი ენერგოსექტორის, საავადმყოფოების, საცხოვრებელი სახლების მიზანმიმართული განადგურება. ამრიგად, გაგანია ზამთარში უკრაინა შუქის, გათბობის, სახლების, საავადმყოფოების გარეშე აღმოჩნდა. ამ ფონზე დაიწყო ბახმუტის მასირებული შტურმი.

ბახმუტის დაცვისას განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი უკრაინულ არმიაში მყოფმა ქართველმა მოხალისეებმა. მათ უკრაინელ ძმებთან ერთად შეუძლებელი შეძლეს, სუროვიკინის გამხეცებული ურდოები შეაჩერეს.

ჩაიშალა ოკუპანტების მცდელობა, ბახმუტი აღყაში მოექციათ. რუსებმა ქალაქის მიმართულებით მხოლოდ რამდენიმე კილომეტრით წაიწიეს. მათ დაიკავეს ბახმუტის სანაგვე და პრომზონაში მდებარე რამდენიმე ქარხანა.

ოკუპანტების სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. უკრაინელთა ელვისებური კონტრშეტევის შედეგად ისინი იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ. თავად ბახმუტს კი კვლავ უკრაინელები აკონტროლებენ.

ბრძოლები ბახმუტისათვის გრძელდება.

დონბასი ცეცხლშია. ყველაზე გააფთრებული ბრძოლები ავდეევკა-ბახმუტის მიმართულებითაა. ბახმუტზე შტურმი მერვე თვეა მიმდინარეობს. რუსულმა მედიამ უკვე შვიდჯერ ამცნო მსოფლიოს, რომ ბახმუტი აღებულია. შემდეგ გაირკვა, რომ ხმები ქალაქის რუსების ხელში გადასვლის თაობაზე გადაჭარბებულია.

ბახმუტს დღეისათვის უფრო პოლიტიკური მნიშვნელობა გააჩნია, ვიდრე სამხედრო. რუსეთმა უკვე არა ერთი მტკივნეული მარცხი იწვნია. პუტინის პროგნოზი, კიევს სამ დღეში ავიღებთო, არ გამართლდა. ომი გაჭიანურდა.

რუსეთი იძულებული გახდა დაეტოვებინა ჯერ კიევის, შემდეგ ხარკოვის ოლქი. პუტინმაც სამხედროთა რიგებში საკადრო ცვლილებები მოახდინა. უკრაინაში რუსული საოკუპაციო ძალების სარდლად გენერალი სუროვიკინი დაინიშნა. ეს არ იყო შემთხვევითი. თვით რუს სამხედროთა წრეშიც სუროვიკინს „ყასაბი“ შეარქვეს.

ბაიდენი: „დასავლეთი ერთიანია!“

აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა განაცხადა, რომ აშშ არ გააგზავნის თავის ჯარისკაცებს უკრაინაში. ამავე დროს დაამატა, რომ აშშ უკრაინისადმი მრავალმილიარდიან დახმარებას გააგრძელებს.

– ამ საკითხში დასავლეთის სამყარო ერთიანია! –თქვა ბაიდენმა.

პენტაგონელი ანალიტიკოსების სენსაციური დასკვნა

პენტაგონი რუსეთ-უკრაინის ომს ყურადღებით აკვირდება. ამერიკელმა ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ რუსეთი დონბასში ინტენსიური შეტევების განხორციელებას ცდილობს, მაგრამ ეს მთელი ფრონტის მასშტაბით არ გამოდის. რუსები შეტევით ოპერაციებს აწარმოებენ ავდეევკა-ბახმუტის მიმართულებით. რაც შეეხება კრემენოე-სვატოვოს, აქ ძირითადად აწარმოებენ თავდაცვით ბრძოლებს.

შეტევითი ოპერაციების განხორციელებისას რუსები ინტენსიურად იყენებენ ავიაციას, ტანკებს, რაკეტებს. ამიტომ ისინი უკვე განიცდიან ყუმბარების დეფიციტს.

– რუსები 40 წლის წინანდელ ყუმბარებს იყენებენ, – აცხადებს პენტაგონი.

ალკსნისმა პუტინს უსაყვედურა

ოდიოზურმა რუსმა დეპუტატმა ვიქტორ ალკსნისმა საზოგადოებას თავი შეახსენა. მან განაცხადა, რომ პუტინმა უკრაინაში უამრავი შეცდომა დაუშვა:

– კიევი უკვე მას შემდეგ უნდა აგვეღო, როცა კანონიერად არჩეული პრეზიდენტი იანუკოვიჩი დაამხეს, – თქვა ალკსნისმა.

უკრაინაში ომის გაჩაღებასაც ალკსნისი ნაგვიანებ ღონისძიებად თვლის, თუმცა ამატებს, რომ სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს. ამავე დროს ის კატეგორიულად არ ეთანხმება მობილიზაციის გამოცხადებას.

– გაუწვრთნელი, მოუმზადებელი ბიჭების ფრონტზე გაგზავნა დანაშაულია, – ამბობს ალკსნისი.

ბატონ ვიქტორის აზრით, პუტინს თურმე მობილიზაცია კი არ უნდა გამოეცხადებინა, არამედ უკრაინის წინააღმდეგ ტაქტიკური ხასიათის ბირთვული იარაღი გამოეყენებინა. როგორც კი ცხადი გახდა, რომ რუსეთი ვერც კიევსჩინას, ვერც ხარკოვსჩინას ვერ შეინარჩუნებდა, ხოლო ყველაზე ბრძოლისუნარიანი რუსული ნაწილები რომ უკრაინელებმა გაანადგურეს, ამას იმ წამსვე სათანადო რეაქცია უნდა მოჰყოლოდა.

– პუტინი უნდა გამოსულიყო ტელევიზიით და კიევისთვის ულტიმატუმი წამოეყენებინა: ან ოცდაოთხ საათში იარაღს დაყრით, ან ბირთვულ იარაღს გამოვიყენებო, – აცხადებს ალკსნისი.

ბრძოლების ეპიცენტრი კვლავ დონბასია

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. ბრძოლების ეპიცენტრი კვლავ დონბასია. ბახმუტის გარდა, მეორე ცხელი წერტილია ავდეევკა. რუსი ოკუპანტები კვლავაც ცდილობენ, ავდეევკა კოტიოლში მოაქციონ. ეს ვერც ამჯერად მოხერხდა.

სასტიკი ბრძოლებია მარინკაშიც. რუსულმა მედიამ მსოფლიოს რამდენჯერმე ამცნო, რომ მარინკა აიღეს. ეს სიცრუე აღმოჩნდა. ქალაქში ქუჩის ბრძოლებია. ამაოა ოკუპანტების ყველა მცდელობა დაამყარონ კონტროლი მარინკაზე. ასევე გრძელდება ბრძოლები სპორნოესთან, ოპიტნოესთან, სოლედართან და ა.შ.

– არ გამოვრიცხავ, რომ ოკუპანტებმა ბახმუტს გვერდი აუარონ და სოლედარისაკენ გაჭრა სცადონ, – აცხადებს უკრაინელი ექსპერტი ჟდანოვი.

სასტიკი ბრძოლებია კრემენნოესთანაც (ლუგანსჩინა). აქ ინიციატივას უკვე უკრაინელები ფლობენ. კრემენნოეს ცენტრი იბომბება. ოკუპანტების რიგებში დიდძალი მსხვერპლია.

ბრძოლები უკრაინის სამხრეთ რეგიონში

უკრაინის სამხრეთ რეგიონში ბრძოლებია. უკრაინელმა ჯარისკაცებმა განახორციელეს სარაკეტო დარტყმა ანექსირებული ყირიმის ტერიტორიაზე. დაიღუპა 35 ოკუპანტი. პარალელურად ყირიმის მთელს ტერიტორიაზე გავრცელდა ფურცლები, სადაც ეწერა, რომ მალე ნახევარკუნძულს უკრაინული არმია გაათავისუფლებს.

– ყირიმშიც დაიწყო მოხალისეთა რაზმების შექმნა, – იტყობინება ტელეკომპანია მე-5 არხი.

დაძაბული ვითარებაა ხერსონის ოლქშიც. რუსმა ოკუპანტებმა ქალაქს კვლავ ჭურვები დაუშინეს. შედეგად დაიღუპა 4 ადამიანი, 11 დაშავდა. საპასუხო გასროლებით განადგურებულ იქნა მტრის საცეცხლე წერტილები.

ზაპოროჟიეს ოლქშიც ბრძოლებია. უკრაინელებმა კვლავ მოიგერიეს ოკუპანტების შეტევა სოფელ გულაი-პოლეზე, აღკვეთეს მტრის მცდელობა, გაჭრილიყვნენ ზაპოროჟიესაკენ. ოკუპირებულ მელიტოპოლშიც ძლიერდება უკრაინული წინააღმდეგობის მოძრაობა. უკრაინელმა პატრიოტებმა ააფეთქეს ფირმა ვაგნერის ბოევიკების შტაბი. მტრის რიგებში საკმაო მსხვერპლია. ამას გარდა მელიტოპოლში ხიდიც ააფეთქეს. მსგავსი აქციების სერია მელიტოპოლში გრძელდება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

პუტინი დონბასის მთელს ტერიტორიაზე შეტევების გაგრძელებას მოითხოვს. ამან ოკუპანტების რიგებში მსხვერპლის ზრდა გამოიწვია. დღეისათვის ამ მხრივ შემდეგი სურათია: ტანკები – 2.966; ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები –211; თვითმფრინავები – 281; ვერტმფრენები – 264: განადგურებულია – 94.760 ოკუპანტი.

დაღუპული ოკუპანტების რაოდენობა განუხრელად იზრდება. საკარაუდოდ, თვის ბოლოსთვის ეს ციფრი უკვე 100.000-ს მიაღწევს.

სპორტი

ლუის დე ლა ფუენტე: „არჩევანში თავისუფალი ვარ“

2024 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მეტოქე ესპანეთია. პირინეელები კატარში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატიდან ნაადრევად გამოვარდნენ, რის გამოც ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ მწვრთნელის შეცვლა გადაწყვიტა.

ჩვენს მომავალ მეტოქეს ახალი თავკაცი დიდხანს და შორს არ უძებნია – ეროვნული გუნდი ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებელს ლუის დე ლა ფუენტეს ჩააბარა.

61 წლის სპეციალისტმა პრეს-კონფერენცია უკვე გამართა და საკუთარ გეგმებზე ისაუბრა.

„შევეცდები, სათამაშო სტილში მცირე ცვლილებები განვახორციელო. ის სამუშაო, რომელიც ესპანურ ფეხბურთშია გაწეული, უნდა გაუმჯობესდეს. 15 წლის განმავლობაში პროფესიონალი ფეხბურთელი ვიყავი, 10 წელიწადი ფედერაციაში ვიმუშავე, ვაკვირდებოდი საქმიანობას სხვადასხვა დივიზიონებში. ალალად გეტყვით, რომ თუკი ვინმემ იცის ესპანური ფეხბურთის მომავალი, ეს მე ვარ.

უნდა ვიყოთ მეტოქეზე უკეთესი, დავრჩეთ საკუთარი იდეის ერთგული. მომწონს მატჩებში დომინირება და მრავალმხრივად მოთამაშე გუნდები.

უწინ ვმუშაობდი გუნდებში, სადაც ასაკობრივი შეზღუდვები არსებობდა, ახლა კი არჩევანში თავისუფალი ვარ. ნაკრებში კარს არავისთვის დავხურავ. დარწმუნებული ვარ ახალგაზრდების გამოყენების აუცილებლობაში, მაგრამ ვეტერანებმაც ბევრი მოგვცეს. ისინი უმაღლეს დონეზე აგრძელებენ თამაშს. ნაკრებში მოსვლა საშვებით ნამდვილად არ იქნება.

შეუძლია თუ არა რამოსს ნაკრებში მოხვედრა? დიახ, თუკი ის კარგ ფორმაში იქნება სიის შედგენისას. სათანადო კონდიციების მქონე ნებისმიერ ფეხბურთელს ექნება ამის შანსი“ – თქვა ფუენტემ.

2024 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოსა და ესპანეთის ნაკრებები 2023 წელს ერთმანეთში ორჯერ ითამაშებენ: 8 სექტემბერს ვუმასპინძლებთ, ხოლო 19 ნოემბერს ვესტუმრებით.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

წყვილმა ტრამვაიში მგზავრების თვალწინ სექსი გააჩაღა

დიდი ბრიტანეთის დიდი მანჩესტერის საგრაფოში მგზავრებით სავსე ტრამვაიში წყვილი სექსით დაკავდა და მათი განრისხება გამოიწვია.

აღნიშნული ინციდენტი კვირას, 4 დეკემბერს მოხდა. აღსანიშნავია, რომ მთელი ამ პროცესის დროს მამაკაცს შარვალი ბოლომდე ჰქონდა ჩახდილი. როდესაც მგზავრებმა ეს ყოველივე შენიშნეს, ყვირილი ატეხეს და მათ ტრამვაის დაუყოვნებლივ დატოვება მოსთხოვეს.

– ეს ძალიან უცნაური იყო, მაგრამ მათ არაფერი ანაღვლებდათ, არც კი უცდიათ იმის დამალვა, რითიც იყვნენ დაკავებული, – განაცხადა ერთ-ერთმა მგზავრმა, 25 წლის ლეიკო დაიჩიმ.

წყვილმა ტრამვაი მხოლოდ მას შემდეგ დატოვა, რაც საქმე ბოლომდე მიიყვანეს. ვაგონის დატოვების დროს კი მამაკაცმა აღშფოთებულ მგზავრებს თვალი ჩაუპაჭუნა და ამ დროს შარვალი კვლავ არ ჰქონდა ბოლომდე აწეული.

– ჩემთან ერთად ჩემი შვილები რომ ყოფილიყვნენ, ვერ მოვითმენდი და მათ რამეს ჩავცხებდი, – განაცხადა ერთ-ერთმა თვითმხილველმა.

დიდი მანჩესტერის სატრანსპორტო კომპანიის თანამშრომლების განცხადების თანახმად, მათ მომხდარის გამოძიება დაიწყეს. პოლიციასთან ერთად სათვალთვალო კამერის ჩანაწერების შესწავლას კომპანიის ოპერატორებიც შეუდგნენ. მათ მიზანს წყვილის გამოვლენა და მათი მიგნება წარმოადგენს.

გუბეში შესული მამაკაცი ნიანგმა დაკბინა



დასავლეთ ავსტრალიის შტატის კიმბერლის ოლქში მდებარე კემპინგის მახლობლად მამაკაცმა გუბეში შეაბიჯა და ნიანგის ყბებში ამოყო თავი.

მეგობრებთან ერთად გასეირნების დროს კაილ ჰატჩინსონმა გუბეში გავლა გადაწყვიტა და მაშინვე მწვავე ტკივილი იგრძნო. მას ფეხზე დაახლოებით მეტრნახევრიანმა ნიანგმა უკბინა. სანამ ჰატჩინსონი რეპტილიისგან თავის გათავისუფლებას ცდილობდა, ნიანგმა მისთვის მუხლის არეში ექვსი ჭრილობის მიყენება მოასწრო.

მას შემდეგ, რაც თვითმხილველებმა მამაკაცს პირველადი დახმარება აღმოუჩინეს, ის სასწრაფოდ ქალაქ კუნურარის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმებმა ჰატჩინსონი გასინჯეს და გაკვირვებული დარჩნენ იმ ფაქტით, რომ ცხოველს მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ორგანოებსა და არტერიებზე დაზიანებები არ მიუყენებია. ორი საათის შემდეგ კი ავსტრალიელი უკვე მეგობრებთან ერთად პაბში საკუთარ გადარჩენას აღნიშნავდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

დიდი 10: რუსთავის ხარები ზამთრის ჩემპიონია

ყაზბეგი-ბათუმი 7:45.

საქართველოს ჩემპიონმა ბათუმმა სტეფანწმინდის ყაზბეგი 45:7 დაამარცხა და პირველ წრეში განცდილი მარცხისთვის სრულფასოვანი რევანში აიღო. ჩემპიონმა მეტოქეს 6 ლელო გაუტანა, ბონუსიც აიღო და 25 ქულით მე-7 ადგილზე აღზევდა. სტეფანწმინდელები კი, რომლებიც ორიოდე ტურის წინ ჩემპიონატს ლიდერობდნენ, უკვე სამეულს მიღმა არიან.

„რაგბი პლატოს“ ხელოვნურსაფარიან მოედანზე სტუმრები თავიდანვე დაეუფლნენ უპირატესობას: მე-13 წუთზე მოლის შემდეგ გიორგი მენაბდის მიერ გატანილი ლელოთი დაწინაურდნენ; 22-ე წუთზე ბათუმმა საკუთარი ნახევრიდან კონტრშეტევა წამოიწყო, ცენტრში ხაზი ლაშა ფოფხაძემ გაჭრა, ბურთი მარცხნივ ჩათამაშდა და სანდრო სვანიძემ ალამთან ლელო გაიტანა; მამუკა ნინიძეს ორივე გარდასახვა გაუცუდდა, მაგრამ ტაიმის მიწურულსა და მეორეს დასაწყისში ორი ჯარიმა გაიტანა – 16:0.

51-ე წუთზე გუგუა ხულელიძემ ოვალი ჩაჭრა და საპასუხო ლელომდე 25 მეტრი ირბინა, საბა ნიკოლაშვილმა გარდასახა და ანგარიშში სხვაობა შეამცირა. თუმცა, ამის შემდეგ ქულები მხოლოდ ზღვისპირელებმა იხვეჭეს. ლელოები გუგა შენგელიამ, ვანო ფუტკარაძემ, მენაბდემ, ჯონდი კორტავამ გაიტანეს. ნინიძემ სამი გარდასახვა და ერთი ჯარიმაც გაიტანა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე ვანო ფუტკარაძე გახდა.

ლოკომოტივი-ხარები 3:40

რუსთავის ხარებმა თბილისის ლოკომოტივი „რაგბი პლატოზე“ 40:3 დაამარცხა და 2022 წელი გამარჯვებით დაასრულა. რუსთაველებისთვის ეს ზედიზედ მე-8 გამარჯვება იყო, რამაც ქვემოქართლურ გუნდს, წლის სატურნირო ცხრილის სათავეში დასრულების შესაძლებლობა მისცა. ხარებს 39 ქულა აქვს და 3-ით უსწრებს უახლოეს მდევარს. გარდა ამისა, ლიდერმა ზედიზედ მე-4 მატჩში შეინარჩუნა 5 ნოემბერს მოპოვებული „სარბიელის სინი“.

ლოკომოტივი კი წაგებების სერიას აგრძელებს. მიჯრით 11 მარცხის შემდეგ, „რკინიგზელებს“ მხოლოდ 3 ნუგეშ ქულა აქვს და რადგან კონკურენტები იგებენ, უკვე 18-ით ჩამორჩება მე-9 პოზიციაზე მყოფ აკადემიას.

ლიდერისა და აუტსაიდერის მატჩის ბედი პრაქტიკულად პირველსავე ტაიმში გადაწყდა. სტუმრებმა 40 წუთში 4 ლელო გაიტანეს. თავი იაგო მარსაგიშვილმა, დავით თაბუკაშვილმა, პაატა ბურულაძემ და ლევან ჭავჭავაძემ გამოიჩინეს, გიორგი პეტრიაშვილმა კი სამი გარდასახა. ლოკომოტივმა; პირველ ლელოს მე-9 წუთზე ლუკა სახელაშვილის ჯარიმით უპასუხა და დარჩენილ დროში ქულა აღარ აუღია.

მეორე ტაიმში კიდევ ორი ლელო გავიდა. 53-ე წუთზე სტუმართა უპირატესობა გურამ ქანდაურიშვილმა გაამყარა, მატჩის მიწურულს კი თავი ბაქარ ზედგინიძემ გამოიჩინა. პეტრიაშვილმა და გიორგი ელოშვილმა გარდასახვები შეასრულეს.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე გიორგი ბასილაია გახდა.

აია-ღელო 12:21

თბილისის ლელო-სარასენსმა 2022 წლის დიდი 10-ის ბოლო მატჩში აიას ქუთაისში 21:12 სძლია და წელიწადი მეორე ადგილით დახურა.

დიდი დიღმელებისთვის ეს მიჯრით მე-5 გამარჯვება იყო. ლელოს 11 თამაშიდან 8 მოგება მოუგროვდა, ჯამში 36 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა. აიამ კი ზედიზედ მესამე თამაში დათმო და 27 ქულით მე-5 პოზიციაზეა.

„აია არენაზე“ ბურთაობა ქარის ფონზე გაიმართა. სტუმრები გიორგი ჩიქოვანის სინბინის შემდეგ მოედანზე კაცნაკლულები დარჩნენ, მაგრამ მეტოქის ფაზური შეტევები მოიგერიეს. თბილისელები უპირატესობის მიღებას ძალისმიერ სტილში ცდილობდნენ და 28-ე წუთზე ანგარიშიც გახსნეს – ნიკა ბაბუნაშვილმა 5-მეტრიანი დერეფნიდან აგორებული მოლი ლელოთი დაასრულა, ირაკლი ყიასაშვილმა კი გარდასახა – 7:0.

მეორე ტაიმში მოლი უკვე აიამ ააგორა, ლელომ მისი შეჩერება მოახერხა, მაგრამ საქმეში მორკინალები ჩაერთნენ და მეორე დარტყმას გიორგი ქიმუცაძის ლელო მოყვა. გიორგი ბაბუნაშვილმა გარდასახვით წონასწორობა აღადგინა. გავიდა 5 წუთი, ლელომ ბურთი ხაზზე ბოლომდე ჩაათამაშა, გაგა ქევხიშვილი მბოჭავს გაექცა და ღამაზი ლელო გაიტანა. ყიასაშვილმა გარდასახა.

72-ე წუთზე აია მოლის ზედიზედ ორჯერ განზრახ ჩაქცევისთვის საჯარიმო ლელოთი დაისაჯა და გიორგი ქიმუცაძემ ყვითელი ბარათი მიიღო. კაცნაკლულმა მასპინძლებმა 75-ე წუთზე თავად ააგორეს მოლი და პეტრე ჯინჭარაძემ ლელო გაიტანა, მაგრამ გარდასახვა არაზუსტი იყო. ანგარიში აღარც დარჩენილ დროში შეცვლილა და სტუმრებმა თამაში კომფორტული სხვაობით მოიგეს – 21:12.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე ნიკა ბაბუნაშვილი გახდა.

ახალციხე-ყოჩები 23:15

ქუთაისის არესმა ბოლნისის ყოჩებს 23:15 სძლია და ახალ წელს მესამე ადგილით შეხვდება. „აია არენას“ ხელოვნურსაფარიან მოედანზე მასპინძლებმა უპირატესობა თავიდანვე მოიპოვეს, რასაც დასკვნით 15 წუთში სტუმრებმა სამი ლელოთი უპასუხეს, მაგრამ გარდასახვები არაზუსტი იყო და ყოჩები ნუგეშის ქულის გარეშე დარჩა.

არესს 11 თამაშიდან 32 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მე-3 ადგილზეა. ყოჩებმა ზედიზედ მეორე შეხვედრა დათმო, 26 ქულა დარჩა და მე-6 პოზიციაზეა.

თამაში ორმხრივი შეტევებით დაიწყო, თუმცა პირველ ნახევარში ქულები მხოლოდ მასპინძლებმა მოიხვეჭეს. მე-15 წუთზე ნიკა ბინაძე ყვითელი ბარათით დაისაჯა და მასპინძლები გიორგი თევდორაძის ჯარიმით დაწინაურდნენ. 26-ე წუთზე არესმა მეტობა გამოიყენა, ხანგრძლივი იერიშების შემდეგ დავით გასვიანმა მცველებს შემოურბინა და ლელო გაიტანა. თევდორაძეს გარდასახვის გარდა ორი ჯარიმაც გაუფუჭდა და ტაიმი 8:0 დასრულდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ყოჩები ერთხელაც დარჩა კაცნაკლული. ამჯერად ყვითელი ბარათი ბაჩუკი ჭუმბაძემ მიიღო და არესმა მეტობაში კვლავ 8 უპასუხო ქულა მოიპოვა. პირველი ტაიმის მსგავსად, თევდორაძემ ჯერ ჯარიმა გაიტანა, 53-ე წუთზე კი მოლს იაგო ხილაძის ლელო მოყვა.

ყოჩები მხოლოდ ამის შემდეგ გამოფხიზლდა, რამდენიმე სახიფათო შეტევა განახორციელა და 66-ე წუთზე ნიკოლოზ რეხვიაშვილმა პირველი საპასუხო ლელო გაიტანა. თუმცა, თამაშის განახლებისთანავე სტუმრები შეცდნენ და ბაქარ ბურჯალიანმა ორიოდე წუთში შეძლო ლელოს გატანა, რასაც თევდორაძის ზუსტი გარდასახვა მოყვა.

ბოლნისელებმა დასკვნითი წუთები შეტევებში გაატარეს და კიდევ ორი ლელო გაიტანეს: ჯერ ვაჟა მაისურაძემ, მერე კი – იოსებ გუშარაშვილმა – 23:15.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე ზურა ოდიკაძე გახდა.

აკადემია-ხვამლი 36:34

დედაქალაქურ დერბიში აკადემიამ ხვამლი დრამატულ მატჩში 36:34 დაამარცხა, წელი გამარჯვებით დაასრულა და ექვსეულში შესვლის კარგი შანსი შეინარჩუნა.

„რაგბი პლატოზე“ ლიდერი 7-ჯერ შეიცვალა და ორჯერ ანგარიში გათანაბრდა. „მხატვრებმა“ წლის ბოლოს ზედიზედ მესამე თამაში მოიგეს, ჯამში მეოთხე და 21 ქულით კვლავ მე-9 ადგილზე რჩებიან, მაგრამ საფლეიოფო ზონას უკვე მხოლოდ 5 ქულა აშორებთ. ხვამლი მე-7 წაგებულ მატჩში მეექვსედ დასჯერდა ნუგეშს და 25 ქულით მე-8 პოზიციაზეა.

პირველი ტაიმი „მხატვრებმა“ 28:17 დასრულდა. მეორე ტაიმის დასაწყისი ხვამლის იყო და ზედიზედ 17 ქულა მიითვალა – 28:34. აკადემიამ ინიციატივა მალე დაიბრუნა: ჯერ ერეკლე თათარაშვილმა ლელოთი სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა, მერე კი, სანდრო მარგიანმა ჯარიმა ზუსტად დაჰკრა და აკადემიას 36:34 მოაგებინა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე ნიკა გოგლიძე გახდა.

სატურნირო ცხრილი:

1.ხარები	11	9	0	2	279-199	39
2.ლელო	11	8	1	2	271-207	36
3.არესი	11	7	0	4	249-234	32
4.ყაზბეგი	11	6	0	5	204-208	29
5.აია	11	5	1	5	236-204	27
6.ყოჩები	11	6	0	5	222-234	26
7.ბათუმი	11	5	0	6	237-213	25
8.ხვამლი	11	4	0	7	298-248	25
9.აკადემია	11	4	0	7	205-251	21
10.ლოკომოტივი	11	0	0	11	149-352	3

შავი ლომი გადამწყვეტი მატჩისთვის ემზადება

შავი ლომი „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე შეიკრიბა და რაგბი ევროპის სუპერ თასის გადამწყვეტი მატჩისთვის მზადების დასკვნით ეტაპზე გადავიდა.

ჩვენი გუნდი მაისში მოპოვებულ ტიტულს 17 დეკემბერს 16 საათზე, „ავჭალაზე“ დაიცავს და მეტოქედ თელავივ ჰითი ეყოლება.

მომავალი ფინალისტები სუპერ თასის აღმოსავლეთ კონფერენციაში თამაშობდნენ და 1-2 ადგილი დაიკავეს. შავმა ლომმა 4 თამაში მოიგო, ერთი ფრედ დაასრულა და ერთში მხოლოდ ნუგეშ-ქულას დასჯერდა. საგულისხმოა, რომ უარყოფითი ბალანსი სწორედ ჰითთან აქვს: ფრე (25:25) ქუთაისში, ისრაელში კი მეტოქემ 24:18 იმარჯვა. თუმცა, საბოლოოდ, 23 ქულით პირველ ადგილზე მაინც შავი ლომი გავიდა, თელავიველები კი, 19 ქულით მეორე ადგილს დასჯერდნენ.

ნახევარფინალში, ლევან მაისაშვილის შეგირდებმა „ავჭალაზე“ ესპანური იბერიანსი 41:9 დაამარცხეს, ჰითმა კი, ლუზიტანუშს პორტუგალიაში 30:22 მოუგო. სწორედ ამ შეხვედრის შედეგმა არგუნა თბილისს ფინალური მატჩის მასპინძლობა.

ლევან მაისაშვილი:

– გარდა იმისა, რომ ფინალია, სხვა მხრივაც მნიშვნელოვანი თამაში გველის, რადგან ვხვდებით გუნდს, რომელთანაც წელს ერთი შეხვედრა დავთმეთ და ახლა რევანშის შესაძლებლობა გვექნება. ჰითი პირველადაა ფინალში, თასის მოგების ასეთი შანსი არასდროს ქონია და დარწმუნებული ვარ, მაქსიმალური მონდომებით ითამაშებს. მეტოქეს კუნძულელი და აფრიკელი, კარგი ინდივიდუალისტები ყავს. რაც მთავარია, ზუსტად ვიცით, რა უნდა დავუპირისპიროთ მეტოქეს და ვეცდებით ჩვენი ნაფიქრი მოედანზე გადავიტანოთ.

გასული კვირა ძირითადად აღდგენას დავუთმეთ, გვქონდა ვარჯიშებიც, ორშაბათიდან კი „შევარდენზე“ შევიკრიბეთ. გვაქვს მცირე ტრავმები. გაირკვევა, ვინ შეძლებს თამაშს და ვის მოუწევს ფინალის გამოტოვება.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ფინალს საკუთარ მოედანზე ვატარებთ. ამით მგზავრობასთან დაკავშირებულ სირთულეებს ავირიდებთ. სამწუხაროდ, ნახევარფინალურ შეხვედრაზე მაყურებლის დასწრება კრიტიკას ვერ უძლებდა, თუმცა იმედს ვიტოვებ, რომ ფინალის სანახავად ბევრი ქომაგი მოვა. ამ ბიჭების 55% სანაკრებო ბირთვს წარმოადგენს. ეს არის სანაკრებო ფრენჩაიზი, რომელიც მთელს ქვეყანას წარმოადგენს და მას მხარდაჭერა ისევე სჭირდება, როგორც ნაკრებს.

შეგახსენებთ, რომ რაგბი ევროპის სუპერ თასი წელს მეორედ თამაშდება და გადამწყვეტ შეხვედრას თბილისი პირველად უმასპინძლებს. პირველი გათამაშების ფინალი ლისაბონში გაიმართა და შავმა ლომმა პორტუგალიური ლუზიტანუში 17:14 დაამარცხა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

გაგრა დარჩა, ბოლნისი სამტრედიამ ჩაანაცვლა

დასრულდა წლევანდელი ეროვნული ლიგაც და გაირკვა ის გუნდები, რომლებიც გაისად ლიგა 1-ში ითამაშებენ.

ერთწლიანი პაუზის შემდეგ ელიტაში დაბრუნდა სამტრედია, რომელმაც ფლეი აუტის ორივე მატჩი მოუგო ბოლნისის სიონს.

იმერლებმა პირველი მატჩი საკუთარ მოედანზე 1:0 მოიგეს, ხოლო ბოლნისში კიდევ უკეთ ითამაშეს და ორბურთიანი სხვაობით იმარჯვეს.

მატჩის გმირი კამერუნელი სირილ ჩამბა გახდა, რომელმაც დუბლი შეასრულა: მე-9 წუთზე ანგარიში გახსნა, 74-ე წუთზე კი ყველაფერს წერტილი დაუსვა.

ფლეი აუტის მეორე მატჩში სპაერი გაგრას დაუხვდა და გამარჯვებული უდაძაბულეს ბრძოლაში გაირკვა.

გაგრელებს საშინაო მატჩი 2:0 ჰქონდათ მოგებული, მაგრამ სპაერმა ეს სხვაობა 90 წუთში რატი ცაცკრიალაშვილისა და ლევან პაპავას გოლებით აღმოფხვრა და საქმე დამატებით დროში გადავიდა.

დამატებითი დროც თანაბრად მიილია: ჯერ თამაზ მაქაცარიამ 11 მეტრიდან შეაგდო და გაგრას უპირატესობა მისცა, მაგრამ პაპავამ ისევ გაათანაბრა და საქმე პენალტების სერიამდე მივიდა.

ძირითად სერიაში ორივე გუნდმა თითო პენალტი გააცუდა, დამატებით სერიაში კი, უკეთესი გაგრა აღმოჩნდა და უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნა.

მაშ ასე, მომავალ წელს საქართველოს ეროვნულ ლიგაში ითამაშებენ: თბილისის დინამო, ბათუმის დინამო, გორის დილა, წყალტუბოს სამგურალი, ქუთაისის ტორპედო, თბილისის საბურთალო, თელავი, გაგრა, ქობულეთის შუქურა და სამტრედია.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. დიდი შეჯიბრება იალქნიანი, ნიჩბებიანი და მოტორიანი ნავებით; 2. ოჩამჩირეს ძველბერძნული სახელწოდება; 3. მხარე ბელგიაში; 4. უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე სპეციალისტი; 8. ცხვრის ღრუს გასასინჯი სარკე; 9. მორალური ხასიათის აზრი, გამონათქვამი; 11. შოტლანდიელთა მეორე სახელწოდება; 12. ჩეხური მოტოციკლეტი; 14. ბრიტანული არაყი; 16. გუნდური შეჯიბრება ცურვასა და მძლეოსნობაში; 17. კალათბურთის გამომგონებელი ამერიკელი პედაგოგი; 19. ესპანური წესით დამზადებული ღორის შაშხი; 21. ქალაქი ნიდერლანდებში, სადაც განთავსებულია დედოფლის რეზიდენცია და სამთავრობო დაწესებულება.

თარაზულად: 5. უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა საგარეო ვაჭრობაში; 6. ჩინური ფაიფური; 7. საერთაშორისო კრიმინალური პოლიცია; 10. საზღვაო მოგზაურობა; 13. მზის სისტემის პლანეტა; 15. სახელმწიფო ევროპაში; 18. იპოდრომი ინგლისში, სადაც იმართება სამეფო დღი; 20. საჭმელი სოკო; 22. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 23. სპორტული ნაგებობა; 24. ერთმანეთთან შეერთებული რამდენიმე მექანიზმისაგან შედგენილი მანქანა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. გლაქსო; 2. ვალიზა; 3. ნაღმი; 5. ჯინი; 6. კურტუა; 8. ორფოლო; 11. ალპინიადა; 13. ტაპიორი; 14. აპოლონი; 15. ჰიმალაი; 19. ტახო.

თარაზულად: 1. გლინტვეინი; 4. დარჯაკი; 7. ამსტელი; 9. მატროსი; 10. ფანზა; 12. გიორგობა; 16. ჩოქბჯენი; 17. ოპუნცია; 18. ალტრუისტი; 20. დესპანი; 21. ჯილა; 22. ოქსფორდი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჩოჩორი; 2. გრეგორი; 3. ბოლერონი; 4. ზიმბაბვე; 8. კარიატიდა; 9. გალაქტიკა; 11. ლუტეცია; 12. ჯაზი; 14. ეტლი; 16. ამნერისი; 17. მუკუზანი; 19. ნაბადი; 21. პენსი.

თარაზულად: 5. ჯოკოვიჩი; 6. სელექცია; 7. გარპაგონი; 10. ბოტასი; 13. თელავი; 15. აზბესტი; 18. ამქარი; 20. როკოკო; 22. იაბლონეცი; 23. ესტაკადა; 24. ასათიანი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

14 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6766

ევრო — 2.8185

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2879

100 რუსული რუბლი — 4.2393

ამინდის პროგნოზი 14 დეკემბრისათვის



კილიან მბაპე: „მაროკოსთან იოლი მატჩი არ გველის“

საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა კილიან მბაპემ მაროკოსთან დაპირისპირებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისი გუნდისთვის ეს იოლი შეხვედრა არ იქნება, რადგან მაროკო მათ კარგად იცნობს და იცის საფრანგეთის სუსტი მხარეები: „მაროკოს შეუძლია ჩვენთვის პრობლემების შექმნა, ამიტომ ყურადღებით უნდა ვიყოთ. მინდა, რომ ყველას ვაჩვენოთ ჩვენი ძალა და ის, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მოგება შეგვიძლია“.

ჰარი კეინი: „ინგლისის ნაკრებს დიდი პოტენციალი აქვს“



ინგლისის ნაკრების კაპიტანმა ჰარი კეინმა თავის ნაკრებზე ისაუბრა და თქვა, რომ ინგლისს დიდი პოტენციალი აქვს და მათ უნდა შეძლონ მომავალში ამ პოტენციალის გამოყენება. კეინის აზრით, ეს შესაძლებელია: „მინდა, რომ ჩვენ დაშვებული შეცდომები არ გავიმეოროთ და, ბუნებრივია, ეს მეც მეხება. თუ ასეთ თამაშს გავაგრძელებთ, როგორც მსოფლიო ჩემპიონატზე, შანსი აუცილებლად გვექნება“.

კვარაცხელია ჯერ ოპტიმალურ ფორმაში არ არის

ხვიჩა კვარაცხელიამ კრისტალ პალასთან მოედანზე 45 წუთი დაჰყო და ცხადია, რომ ის ჯერ ოპტიმალურ ფორმაში არ არის, რაც ტრავმის გამო გამოტოვებული მატჩებით არის განპირობებული. იტალიურმა მედია გამოცემებმაც შეამჩნიეს ეს ფაქტი და გაჟღერდა მოსაზრება, რომ ტრავმის შემდეგ კვარაცხელია შიშით თამაშობს და მას დრო დასჭირდება ოპტიმალურ ფორმაში ჩასადგომად.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ნუკი კოშკელიშვილმა სუნამოების გამოშვება დაიწყო

მსახიობმა და ტელეწამყვანმა ნუკი კოშკელიშვილმა პარფიუმერიაში თავისი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენის გადაწყვეტილება მიიღო და ტუზსაცხის შემდეგ, სუნამოს გამოშვება დაიწყო.

ნუკის სუნამო „ნომერი 3 – სიყვარული“ სურნელში აერთიანებს მწვანე ვაშლს, კივს, ლაიმს... პირველი ნოტები არის საოცრად გამაგრილებელი, შეგრძნებაა, რომ ციტრუსის და ყინულების შხაპი მიიღე, ხოლო რამდენიმე წუთში სურნელი ყვავილების არომატით იცვლება. სუნამო ძლებს 12 საათს სხეულზე და 24+ ქსოვილზე, არის პარფიუმი და 79 ლარი ღირს.

ნუკის სუნამოები ქართული წარმოებისაა და მომხმარებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. მსახიობმა პარფიუმერიის მოყვარულთათვის წელიწადის ყველა დროისთვის შესაფერისი სურნელის მქონე სუნამოები გამოუშვა – ოთხივე სეზონზე სხვადასხვა არომატის სუნამოს შეძენა უკვე შესაძლებელია.

ასტროპროგნოზი



14 დეკემბრისათვის

ვერძი – მოულოდნელობებითა და ახალი თავგადასავლებით დატვირთული დღეა. ნუ გარისკავთ. **კურო** – დღეს ქალებს განსაკუთრებით უმართლებთ. მოსალოდნელია კარიერული წინსვლა, ფინანსური კეთილდღეობა. **ტყუპები** – იოლად არავის მიენდოთ. დიდია მოტყუების ალბათობა. ეცადეთ, თქვენი უნარები სრულყოფილად წარმოაჩინოთ. **კირჩხიბი** – კეთილისმყოფელი პერიოდი გაქვთ. პირადი მომხიბვლელობა და სითამამე მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ. **ლომი** – საეჭვო ნაცნობებთან ურთიერთობას ერიდეთ. ნეგატიური დღეა, თუმცა თქვენი განცდები ამაოა. ყველაფერი მალე გაივლის. **ქალწული** – შორს გამგზავრება დროებით გადადეთ. დაისვენეთ ოჯახურ გარემოში. **სასწორი** – ცდუნებასა და პროვოკაციებს ნუ აჰყვებით. კრიზისულ სიტუაციებში თქვენი საუკეთესო მრჩეველი ცივი გონებაა. **ღრიანკალი** – ნებისმიერი საქმიანი კონტაქტისაგან თავი შეიკავეთ. უსიამოვნებებს ფილოსოფიურად მიუდექით. **მშვილდოსანი** – დღეს მხოლოდ მთავარი საქმე აკეთეთ. ენერგია დაზოგეთ. ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებული არ არის. **თხის რქა** – დაკისრებული სამუშაო ყურადღებით შეასრულეთ. დღეს დაშვებული შეცდომის გამოსწორება გაგიჭირდებათ. **მერწყული** – შემოქმედებითი არეალი ფართოვდება. საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოიყენეთ. **თევზები** – ყურადღებითა და მშვიდად იყავით. ყოველ წვრილმანს ჩაუღრმავდით.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ექიმი მედდას ეუბნება:
– ჩაწერე: „თავის ქალის ტრავმა“.
– თუ თავის ქალა-ტვინის?
– სად აქვს ამას ტვინი. ამას შემოწმებაც კი არ სჭირდება.
– რატომ?
– აბა, ამას რომ ტვინი ჰქონოდა, ცოლის დაბადების დღეზე საყვარელთან ერთად მივიდოდა.

●●●

ქმარმა მეგობრები სახლში დაპატიჟა და „კარტის“ თამაში გააჩაღეს. დილის ხუთ საათზე შეწუხებული ცოლი ოთახში შეიჭრა და ქმარს დაუყვირა:
– ჩემ სახლში ეს როდემდე უნდა გაგრძელდეს?!
– ძვირფასო, ნუ ყვირი, ეს სახლი ჩვენი უკვე აღარ არის...

●●●

რუსს ეკითხებიან:
– მართალია, რომ თქვენთან იუთუბის აკრძალვას აპირებენ?
– რუსეთში ყველაფერი შეიძლება, ეს თავისუფალი ქვეყანაა და შეზღუდვები არ არსებობს!

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:
– შენ სულ ამ კულინარიულ გადაცემებს უყურებ, მაგრამ ნორმალური კერძის გაკეთება მაინც ვერ ისწავლე.
– შენ რომ სულ პორნოს უყურებ...

●●●

კაცი ქალს ეუბნება:
– პოეტი რომ ვყოფილიყავი, ლექსს მოგიძღვნიდით, მხატვარი რომ ვყოფილიყავი, დაგხატავდით, მაგრამ, ვინაიდან მხოლოდ უბრალოდ ავეჯის ფაბრიკაში დარაჯი ვარ, საწოლს შემოგთავაზებთ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მარიამ ბიგვავამ „საბავშვო ევროვიზიაზე“ მესამე ადგილი დაიკავა

საქართველოს წარმომადგენელი „საბავშვო ევროვიზია 2022“-ზე მარიამ ბიგვავა მესამე ადგილზე გავიდა.

წელს ევროფესტივალი მე-20 ჩატარდა და მას სომხეთის დედაქალაქმა ერევანმა უმასპინძლა. წლევანდელ კონკურსში 16 ქვეყანა მონაწილეობდა: სომხეთი, საქართველო, უკრაინა, იტალია, ნიდერლანდები, მალტა, ჩრდილოეთ მაკედონია, პოლონეთი, პორტუგალია, ყაზახეთი, საფრანგეთი, ალბანეთი, ირლანდია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი და სერბეთი.

მარიამ ბიგვავამ გიგა კუხიანიძის სიმღერა „მე მჯერა“ მე-8 ნომრად იმღერა. 16-ვე კონკურსანტის გამოსვლის შემდეგ, საერთაშორისო ჟიურისა და ონლაინ ხმის მიცემის შედეგები გახდა ცნობილი. 16 ქვეყნის საერთაშორისო ჟიურის ქულები ასე გადანაწილდა: საქართველომ უმაღლესი 12 ქულა დაუწერა იტალიას. ჩვენი ქულები შარშანდელი საბავშვო ევროვიზიის კონკურსანტმა ნიკო ქაჯაიამ გამოაცხადა. საქართველო საბავშვო ევროვიზიაში მონაწილე ქვეყნებმა ასე შეაფასეს: ნიდერლანდები – 8 ქულა, პოლონეთი – 12 ქულა, ყაზახეთი – 7 ქულა, მალტა – 6 ქულა, იტალია – 10 ქულა, საფრანგეთი – 5 ქულა, ალბანეთი – 2 ქულა, ირლანდია – 2 ქულა, ჩრდილოეთ მაკედონია – 8 ქულა, ესპანეთი – 10 ქულა, დიდი ბრიტანეთი – 5 ქულა, პორტუგალია – 10 ქულა, სერბეთი – 7 ქულა, სომხეთი – 12 ქულა, უკრაინა – 10 ქულა.

საერთაშორისო ჟიურის ქულებით პირველ ადგილზე გავიდა საფრანგეთი – 132 ქულით, მეორეზე – საქართველო 114 ქულით, ხოლო მესამეზე – სომხეთი 110 ქულით.

ონლაინ ხმის მიცემის შედეგად კი საქართველოს დაემატა 47 ქულა და ჯამში 161 ქულით მესამე ადგილი დაიკავა, სომხეთს დაემატა 70 ქულა და 180 ქულით მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო საფრანგეთს დაემატა 71 ქულა და 203 ქულით „საბავშვო ევროვიზიის“ გამარჯვებული ამ ქვეყნის კონკურსანტი ლისანდრო გახდა.

მერაბ ბერძენიშვილის „ჯარისკაცის მამას“ გურჯაანში ქვები ეცლება

მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილ ძეგლს „ჯარისკაცის მამა“, რომელიც გურჯაანში დგას, ყველა მხრიდან ქვები ეცლება.

ინფორმაცია ამის შესახებ თამრიკო მოლაშვილმა გაავრცელა:

– მერაბ ბერძენიშვილის „ჯარისკაცის მამა“ გურჯაანში... ყველა მხრიდან ქვები ეცლება. ველური მცენარეების ბუჩქებსა და ხეებში ჩაფლული. ვერ მოიცალა მერიამ!

მომღერალი სპარტაკ შარიქაძე რომის საოპერო თეატრის რჩეულია

ანსამბლ „შავნაბადას“ მომღერალი სპარტაკ შარიქაძე რომის საოპერო თეატრის რჩეული გახდა.

– გაზაფხულზე რომის საოპერო თეატრმა გამოაცხადა მოსმენა ახალგაზრდა სოლისტებისთვის. მოსმენა ჩანაწერის გაგზავნის პრინციპით ჩატარდა და, საერთო ჯამში, დაახლოებით 800 ვოკალისტი მონაწილეობდა, აქედან შეირჩა 8. რჩეულთა შორის არის სპარტაკ შარიქაძე.

პროგრამა გულისხმობს ახალგაზრდა სოლისტებისთვის შანსის მიცემას, რათა მათ იმუშაონ დიდ საოპერო დასთან, მიიღონ მონაწილეობა სპექტაკლებში, კონცერტებსა და კონკურსებში.

რომის თეატრის მეშვეობით ჩვენი სპარტაკი (პაკო) ითანამშრომლებს ისეთ დირიჟორებთან, როგორებიც არიან: მიკელე მარიოტი, ანტონიო პაპანო, რობერტო აბადო, ჟორდი ბერნასერი და კიდევ მრავალი სხვა. ასევე დაესწრება მასტერკლასებს საოპერო ვარსკვლავებთან: ლაურენს ბროუნლი, ლუკა სალსი, დოლორა ზაიკი, ალექს ესპოსიტო, იუსიფ ეივაზოვი.

ვულოცავ პაკოს, ჩვენ თავს და ყველას, ვისაც გახარებთ ამ კარგი კაცის წარმატება! – ნათქვამია ანსამბლ „შავნაბდას“ მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ტექსტიდან სიტყვასიტყვით უცვლელად მოყვანილი მონაკვეთი; 2. ერბოში ჩახარშული ყველისგან მომზადებული აჭარული კერძი; 3. ხორცის შესაწვავი, მბრუნავშამფურებიანი ელექტროღუმელი; 5. გრძელი ჯებირი, ნავსადგურის ზღვის ტალღებისგან დასაცავად; 6. მოხსენების, ლექციის მოკლედ ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებანი; 8. წვრილი, წვნიანი ნაყოფის მქონე ბუჩქოვან მცენარეთა საერთო სახელწოდება; 11. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 13. მოხარშული კვერცხისგულიანი ხაჭაპური; 14. თამბაქოს მოსაწევი საშუალება; 15. ოპტიკური ხელსაწყო; 19. ცხვრის, ხბოს ტყავისგან დამზადებული ღვინის, არყის ჭურჭელი.

თარაზულად: 1. ფეისბუკის დამფუძნებელი; 4. კარსტული მღვიმე წყალტუბოს მახლობლად; 7. ილონ მასკის ქსელური საკომუნიკაციო კომპანია; 9. ბარი ათენში, სადაც განთავსებული იყო არისტოტელეს ფილოსოფიური სკოლა; 10. სამონასტრო კომპლექსი გორის რაიონში; 12. ევროპელ ებრაელთა საერთო სახელწოდება; 16. კათოლიკური ეკლესიის საერთაშორისო ცენტრი; 17. ფერწერული ტილო „პროზესპინას მოტაცება“-ს ავტორი; 18. პროფესიონალი დამსმენის, ჯაშუშის სახელწოდება ძველ საბერძნეთში; 20. ზღვის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 21. აუქციონ „კრისტის“ მფლობელი; 22. ყოველდღიური გაზეთი ბრიტანეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა